საკვანძო კომპეტენციები

N3'2023

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 2960-9895

საკვანძო კომპეტენციები
წიგნიერება
ენების ცოდნა
მათემატიკური, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და საინჟინრო
ციფრული კომპეტენცია
პიროვნებათშორისი, სოციალური და დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენციები
მოქალაქეობრივი კომპეტენცია
მეწარმეობა
კულტურული გამომახატველობა

საკვანძო კომპეტენციები
N3'2023

გამომცემელი –
მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

ბერიკა შუკაკიძე
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორი

მანანა ჯინჭარაძე
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრის ინოვაციური
განათლების
პროგრამის კონსულტანტი

მარიამ დახუნდარიძე
კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
მედიაწიგნიერების განვითარების
ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი

ნუგზარ კოხრეიძე
სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბის
„თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე

ირინა ქობალია
ზუგდიდის N4 საჯარო სკოლის დირექტორის
მოადგილე, მეწარმეობის კლუბის
ხელმძღვანელი

ეკა თაბუაშვილი
თბილისის #182 საჯარო სკოლის დირექტორი

თამთა მამალაშვილი
თბილისის 1-ელი ექსპერიმენტული სკოლის
მეწარმეობის კლუბის „CEO CLUB"
ხელმძღვანელი

მთავარი რედაქტორი
ანი კუდუხაშვილი

კორექტორი
მაია წიკლაური

დიზაინერი
ბესიკ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მისამართი:

თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6
ელფოსტა:
info@tpdc.ge

ISSN 2960-9895

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

WWW.TPDC.GE

სარჩევი

02 ანი კუდუხაშვილი
რედაქტორის სვეტი

04 ანა ლვინიანიძე
რა არის პიროვნება?

09 ნესტან სიხარულიძე
არაფორმალური განათლების დაგეგმვა და დანერგვა სკოლაში

15 ცირა გუღუა
საკვანძო კომპეტენციები დაწყებით კლასებში

19 კახაბერ ჩაკვეტაძე
არაფორმალური განათლების გამოცდილება

24 ნუგზარ კოხრეიძე
„კულტურული გამომხატველობის" კომპეტენცია არაფორმალური განათლების სივრცეში

30 მაია მამისეიშვილი
პროფესიული ზრდის უწყვეტი მხარდაჭერა და არაფორმალური განათლების განვითარება ფორმალური განათლების გასაძლიერებლად

რედაქტორის სვეტი

ანი კუღუხაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის მენეჯერი

შეხედულება, რომ არცერთ კულტურას არ შეუძლია სხვა ხალხების კულტურული მიღწევებისგან იზოლირებულად განვითარება, სასკოლო განათლებაშიც მოქმედებს. როგორც არ არსებობენ სამყაროსგან სრულად იზოლირებული კულტურული თემები, ასევე, სასკოლო თემებში არ არსებობენ იზოლირებული კულტურული ჯგუფები, რომლებიც განცალკევებულად დგანან და არ გამოხატავენ მზაობას სხვათა კულტურული გამოცდილების აღსაქმელად ან საკუთარი კულტურის სხვებისთვის გასაზიარებლად.

სკოლაში კულტურული კავშირების განვითარება ხდება სხვადასხვა სფეროში – სწავლა-სწავლების, სპორტის, საკლუბო მუშაობის, არაფორმალური საქმიანობის, სასწავლო ექსკურსიების, პირადი კონტაქტების, ასევე, სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებისას. მსოფლიოში მიმდინარე სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა ხალხთა მასშტაბური მიგრაცია, გადაადგილება და შერევა გამოიწვია. პროცესის დადებითი შედეგია ის, რომ ამ პროცესში სულ უფრო მეტმა ადამიანმა გადალახა კულტურული ბარიერები, რომლებიც ადრე ჰყოფდა მათ. ისინი იძულებულნი გახდნენ, გაცნობოდნენ და ინტეგრირება მოეხდინათ უცხო კულტურებში. ბუნებრივია, ეს პროცესები სასკოლო დონეზეც მიმდინარეობს და სულ უფრო მეტი ბავშვი ისწრაფვის მოერგოს გარშემო არსებულ სამყაროს და ეს განსაკუთრებით ეფექტურად და შედეგიანად გაიაკეთოს. აღსანიშნავია, რომ ბევრი სკოლა სასკოლო მზაობასაც ახვედრებას ამ ინტეგრაციას და სრულიად მომზადებული ხვდება ინტერკულტურულ კომუნიკაციას.

ინტერკულტურული დიალოგის ფარგლებში დიდია სკოლის პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, ზოგიერთი მათგანი ქმნის კომუნიკაციის ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს მონაწილე სუბიექტებისათვის. პირველ რიგში, ეს ატმოსფერო სწორ ინტერკულტურულ კომუნიკაციას და თანაცხოვრებას უკავშირდება. ტერმინი „ინტერკულტურული (კროსკულტურული, ინტერეთნიკური) კომუნიკაცია“ გულისხმობს, რომ მიმღებმა და შეტყობინების გამგზავნმა ადამიანებმა იციან ერთმანეთის კულტურული განსხვავებები. ინტერკულტურული კომუნიკაცია ყოველთვის არის ინტერპერსონალური კომუნიკაცია სპეციალურ კონტექსტში, როდესაც ერთი მონაწილე აღმოაჩენს მეორის კულტურულ განსხვავებას. სასკოლო თანაცხოვრების დროს ასეთი აღმოჩენები ხშირია, თუმცა ამგვარი კომუნიკაცია ბევრ პრობლემას აჩენს მოლოდინებისა და ცრურწმენების განსხვავებულობის გამო, რომლებიც თან ახლავს

თითოეულ ბავშვს და, ბუნებრივია, განსხვავდება სხვადასხვა კულტურაში.

პროცესის შინაგან კონტექსტს განსაზღვრავს ცოდნის, ღირებულებების, კულტურული იდენტობის და ინდივიდის ინდივიდუალური მახასიათებლების ერთობლიობა; ხოლო გარეგან კონტექსტს – დრო, სფერო და პირობები. სკოლამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საკუთარ ტერიტორიაზე მყოფი ბავშვი უფრო კომფორტულად გრძნობს თავს და უკეთ ახდენს ორიენტირებას საკუთარ კულტურულ სივრცეში, ვიდრე უცხოელი. სკოლასა და სახლში კომუნიკაციის ხასიათი განსხვავდება ყოველდღიურ კულტურაში შეღწევის ხარისხით და პირადი ფაქტორების გავლენით. ასევე, სხვადასხვაგვარად ვითარდება კომუნიკაცია დროის სხვადასხვა პერიოდში და განსხვავებულად ვითარდება ურთიერთობები კომუნიკაციის მონაწილეებს შორის.

არსად, და მათ შორის არც სკოლაში, არ არსებობს სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოებები. მოსწავლეებს შორის განსხვავებებიც წარმოიქმნება მათი წარმოშობის, ცოდნის დონის, სოციალური მდგომარეობის და ა.შ. მიხედვით. ამ მხრივ, მათ, რასაკვირველია, გააჩნიათ საპირისპირო შეხედულებები, ადათ-წესები, ტრადიციები და ა.შ..

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ადამიანი ერთ კულტურას მიეკუთვნება, ასეთი განსხვავებები მათ სუბკულტურებად ყოფს და გავლენას ახდენს მათ შორის კომუნიკაციაზე. ამ გავლენების მაქსიმალურად პოზიტიურ კონტექსტში გადასატანად, სასურველია/აუცილებელია სკოლას ჰქონდეს კროსკულტურული კომუნიკაციის სტრატეგიები და თუკი ეს კომუნიკაციის გეგმაში ექნება გადატანილი, მინიმუმამდე იქნება დაცული უსაფრთხოება.

ნებისმიერი კულტურის, ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანის, არსებობისა და განვითარებისთვის აუცილებელია კომუნიკაცია, დიალოგი და ურთიერთქმედება. კულტურათა დიალოგის იდეა გულისხმობს კულტურების ღიაობას ერთმანეთის მიმართ, მაგრამ ეს რთულია და მაშინ ხდება შესაძლებელი, როცა დაკმაყოფილდება მთელი რიგი პირობები: ყველა კულტურის თანასწორობა, თითოეული კულტურის უფლების აღიარება იყოს სხვებისგან განსხვავებული, უცხო კულტურის პატივისცემა და სხვ.. არ არსებობს იზოლირებული კულტურები – ყველა კულტურა არსებობს და ვითარდება მხოლოდ სხვა კულტურებთან დიალოგით.

კულტურული მრავალფეროვნება ბავშვის თვითშემეცნების მნიშვნელოვანი პირობაა: რაც უფრო მეტ კულტურას გაეცნობა, რაც მეტ ქვეყანას ეწვევა, რაც მეტ ენას ისწავლის, მით უკეთ აღიქვამს საკუთარ თავს და უფრო მდიდარი იქნება მისი სულიერი სამყარო. კულტურათა დიალოგი არის ისეთი ფასეულობების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საფუძველი და მნიშვნელოვანი წინაპირობა, როგორებიცაა შემწყნარებლობა, პატივისცემა, ურთიერთდახმარება და ემპათია.

დღევანდელ მსოფლიოში ცივილიზაციათა კულტურული კავშირები და ურთიერთქმედება უფრო ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი სხვა კონტაქტი. კულტურული დიალოგის მდგრადობისათვის ნოვატორული და ეფექტური იქნება სკოლებმა სწორედ ცივილიზაციების გაცნობის მიმართულებით გააქტიურონ მუშაობა. ცივილიზაციურ დონეზე კომუნიკაცია იწვევს ყველაზე მნიშვნელოვან შედეგებს სულიერი, მხატვრული, სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების გაზიარებაში. იქ სადაც აქტიური და ქმედითია ცივილიზაციათა შორის კულტურული კავშირები, კონფლიქტები იკლებს და მშვიდობიანი თანაცხოვრებითა და ნაყოფიერი ურთიერთობებით იცვლება.

რა არის პიროვნება?

ანა ლვინიანიძე

ფსიქოლოგი,
ფსიქოთერაპიის სახლ „კამარას“
ფსიქოთერაპევტი

პიროვნება მემკვიდრული წინასწარგანწყობების ანუ მიდრეკილებებისა და გარემოს ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ნატიფი და რთული მთლიანობაა. როდესაც ვმსჯელობთ, როგორი პიროვნებაა ადამიანი, მოვიაზრებთ პასუხს ოთხ ძირითად კითხვაზე.

ა. *როგორც წესი*, **რას ფიქრობს** გარემოში არსებული გამღიზიანებლებისა თუ მიმდინარე მოვლენების გავლენასა და საკუთარ და სხვების შინაგან მდგომარეობაზე?

ბ. *ჩვეულებრივ*, **რას გრძნობს** გარემოში არსებული გამღიზიანებლებისა თუ მოვლენების მიმართ და როგორ ეხმაურება საკუთარ და სხვების შინაგან მდგომარეობას?

გ. *ჩვეულებრივ*, **როგორ იქცევა** გარემოში არსებული გამღიზიანებლებისა და მიმდინარე მოვლენების, ასევე, საკუთარი და სხვების შინაგანი მდგომარეობის პასუხად?

დ. *როგორც წესი*, **რას შეიგრძნობს** გარემოში არსებული გამღიზიანებლებისა და მიმდინარე მოვლენების ზემოქმედების შედეგად; როგორც საკუთარი, ასევე სხვების შინაგანი მდგომარეობის პასუხად?

როდესაც ვფიქრობთ, **რა ახასიათებს** ადამიანს, როგორც პიროვნებას, სასურველია, მოვიაზრებდეთ: რა არის მისთვის, როგორც პიროვნებისათვის, კანონზომიერი? რა *სჩვევია* მას, როგორც პიროვნებას? რა არის მისთვის *უჩვეულო*?

რომ შევაჯამოთ, პიროვნება არის კანონზომიერი, ჩვეული პასუხების, მისთვის ჩვეული მიმართებების, დამოკიდებულებების, განცდებისა და თვალსაჩინო ქცევების ერთობლიობა.

განათლება, როგორც გარემო

შეგვიძლია, განათლება გავიაზროთ როგორც გარემო, რომელიც მოიცავს გამღიზიანებლების სიუხვეს. ცნობები, წარმოდგენები, დამოკიდებულებები და სხვა ყველაფერი, რისი გადაცემაც განათლების მთავარი დანიშნულებაა, სწორედ იმ გარემოს ნაწილია, რომელიც პიროვნებაზე ზემოქმედებს და მის განვითარებაში, გარდაქმნასა და გარდასახვაში მონაწილეობს.

ცოდნა, ისევე, როგორც პიროვნება, მრავალგანზომილებიანია და მოიცავს როგორც ცნობებს, ასევე დამოკიდებულებებს. ცოდნასთან დაკავშირებული მთავარი კითხვა, შეგვიძლია, შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

შეგვიძლია ცნობებისგან (მაგალითად, ინფორმაციის

მიწოდება ადამიანისთვის, თუ რა მოხდა ქვეყნის ისტორიაში ან რა ხდება ცოცხალი არსების უჯრედში) განვაცალკევოთ დამოკიდებულებები? ან, როგორ უზრუნველვყოთ, რომ განათლებამ პიროვნებას გადასცეს ზოგადსაკაცობრიო, კეთილდღეობის უზრუნველმყოფი ღირებულებები?

საბოლოოდ, რისთვის გვჭირდება იმის გაცნობიერება თუ როგორ აისახება ჩვენი მსყიდველობითი ქცევები ირგვლივმყოფებსა და გარემოზე? რისთვის გვჭირდება, ვიცოდეთ, როგორ მოქმედებს ჩვენი სურვილების დაკმაყოფილებისკენ ლტოლვა ირგვლივმყოფებსა და გარემოზე? რისთვის გვჭირდება, ვიცოდეთ, როგორ მოქმედებს ნერვული სისტემა და როგორ შეიგრძნობს სხვადასხვა ცოცხალი არსება უსიამოვნო და სასიამოვნო შეგრძნებებს ან ტკივილს?

განათლების, როგორც ცოდნის გადაცემის მიდგომათა ერთობლიობის, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა პიროვნების შეგუების უნარების გაძლიერებაა. სრულფასოვნად შეგუება, თავის მხრივ, მოიაზრებს როგორც გარემოსთან, ასევე საკუთარ თავთან წონასწორობის მდგომარეობის უზრუნველყოფას. წონასწორობის მდგომარეობის ერთ-ერთი განმაპირობებელი კი საკუთარი

მნიშვნელობის განცდის გაცნობიერებაა. საკუთარი მნიშვნელობის განცდა ეფუძნება იმის აღიარების უნარს, რომ ჩემი ქცევები აისახება როგორც ჩემზე, ასევე სხვებზე - სხვა ცოცხალ არსებებზე, თუნდაც, უსულო საგნებზე და ა. შ..

განათლების დანიშნულება არა მხოლოდ გარემოსა და ცოცხალი არსებებისგან პიროვნების განსხვავებების სწავლებაა, არამედ – მათთან მსგავსების და, ამის საფუძველზე, იმ მთლიანობის გაცნობიერებაცაა, რომელშიც ჩვენი არსებობა და ცხოვრება მიედინება.

რისი გწამს გულით?

ადამიანებს, როგორც პიროვნებებს, ბევრი აზრი, განწყობა და დამოკიდებულება გვიტრიალებს გონებაში. თუმცა, ყველა მათგანი არ განსაზღვრავს ჩვენი ცხოვრების წესს ან ჩვენს ჩვეულ პასუხებს გარემოს ზემოქმედებაზე.

თითოეული ჩვენგანი ატარებს ცოდნას, რომლის არსებობას აცნობიერებს ან ვერ აცნობიერებს და მის მიმართ **გულგრილია** – რწმენის სარჩული ამ განწყობებს არ გააჩნია.

მაგალითად, შეგვიძლია განვიხილოთ დამოკიდებულება სხვადასხვა ნივთიერებისადმი, რომლის მიღებაც, **ვიცით** რომ საზიანოა, მაგრამ **გვჯერა**, რომ კონკრეტულად ჩვენზე დამაზიანებლად არ იმოქმედებს – მოცული ვართ საკუთარი ხელშეუხებლობის ცრუ განცდით და ასეთი ალბათობა მეტისმეტად შეუძლებლად მიგვაჩნია. შესაბამისად, ამ ნივთიერების მიღებას მაშინაც კი არ ვწყვეტთ, როდესაც ყველა ხელშემწყობი გარემოება გვაქვს იმისათვის, რომ უარი ვთქვათ ჩვეულ ქცევაზე. ამ შემთვევაში, არ ვფლობთ უმთავრესს, რაც ჩვენს სწორ ქცევას განაპირობებდა – **რწმენას**, რომ განსაზღვრულმა ნივთიერებამ შეიძლება *ჩვენც* დაგვაზიანოს.

გარდა იმ ცოდნისა, რომლის მიმართაც **გულგრილები** ვართ, არსებობს ცოდნა, რომლის მიმართაც **ნელთბილად** ვართ განწყობილნი: ჯერ ვერ გადაგვიწყვეტია, ვირწმუნოთ თუ არა, შევცვალოთ თუ არა ჩვენი ცხოვრება იმ ცოდნის შესაბამისად, რომელიც გვაქვს განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით.





სტიქიური უბედურებები გვაფრთხობს, თუმცა, ჩვევად ვერ დავიწესეთ ბუნებრივი თუ სხვადასხვა სახის მარაგის[1] არაგეგმაზომიერი გამოყენების აკრძალვა.

მაგალითად, რამდენ ჩვენგანს დაუტოვებია ანთებული ნათურა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მაშინ, როდესაც არ სჭირდება? მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გვაფრთხილებდნენ, როგორ შეიძლებოდა ასახულიყო ჩვენი არაგეგმაზომიერი და მფლანგველი დამოკიდებულება გარემოზე, ბევრ ჩვენგანს მნიშვნელოვნად არ მიაჩნდა საკუთარი ქცევის შეცვლა. შესაძლოა, ბევრ ჩვენგანს დღემდე ვერ გაუცნობიერებია, როგორ შეიძლება აისახოს მარაგების ნებისმიერი, არაგეგმაზომიერი განკარგვა გარემოზე. იქნებ იმიტომაც, რომ ვერ დავრწმუნდით ამაში; ან ზოგიერთ ჩვენგანს — განსაკუთრებით ეჭვიანსა და, სინამდვილეში, ცნობისმოყვარეს — საკმარისად დამაჯერებლად არ აგვიხსნეს, რატომაა თითოეული ადამიანის ქცევა მნიშვნელოვანი? ან, იქნებ, თავად ჩვენ არ გვეყო ცნობისმოყვარეობა, ამაში გავრკვეულიყავით? რომელი ამოცანა ვერ დაძლია განათლებამ ჩვენთან ურთიერთობაში? რატომ ვერ დავაკავშირეთ სტიქიური უბედურებები თითოეული ჩვენგანის ქცევასთან? იქნებ, საკმარისად თავისუფალნი არ ვიყავით ჩვენი ეჭვების გამოხატვაში? იქნებ, დღემდე ეჭვი გვეპარება ჩვენი ქცევების მნიშვნელობაში? რა მოხდებოდა, რომ ამ ეჭვების თავისუფლად განხილვის საშუალება გვქონოდა?

და კიდევ... არსებობს წარმოდგენები, რომლებიც გვწამს და მიგვაჩნია, რომ სწორედ ასე უნდა ვიცხოვროთ და არა — სხვანაირად.

მაგალითად, ადამიანების უმრავლესობას სწამს, რომ აუცილებლად ბევრი **უნდა** იმოგზაურონ, რომ მოგზაურობის გარეშე, მათ ცხოვრებას უმნიშვნელოვანესი ნაწილი აკლდება და, რომ მოგზაურობის გარეშე **„საინტერესო“** ადამიანები არ იქნებიან. თუმცა, ამ განწყობის ეჭვქვეშ დაყენებაც შეიძლება: სინამდვილეში, **რისთვის** ვმოგზაურობთ და ნამდვილად „საინტერესოდ“ გვაქცევს თუ არა ტურისტის თვალთახედვა, რომელიც სწავლობს თუ არა გულდასმით გარემოს, საკითხავია...

თავმდაბლობა, როგორც შემეცნების იარაღი. ეჭვი, როგორც ლირებულება

გახსოვთ ის დრო, როდესაც დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ზღვის

ტერმინი კულტურული გამომახატველობა მიესადაგება ადამიანის უნარს დააფასოს იდეების, გამოცდილებებისა და ემოციების შემოქმედებითი გამოხატვის მნიშვნელობა სხვადასხვა მედია საშუალებით, მუსიკის, ლიტერატურის და კლასტიკური ხელოვნების ჩათვლით.

საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის

კიბორჩხალებს ტკივილის შეგრძნების უნარი არ გააჩნიათ?

ადამიანებს, რომლებიც ეჭვს შემეცნების იარაღად იყენებენ, ებადებათ კითხვა: როგორ შეგვიძლია, სრულად ვიყოთ დარწმუნებულნი იმაში თუ რას განიცდის ჩვენგან განსხვავებული ცოცხალი არსება? როგორ შეგვიძლია, დანამდვილებით ვიცოდეთ, რომ ჩვენგან განსხვავებული ცოცხალი არსება ტკივილს არ განიცდის იმ გამღიზიანებლების პასუხად, რომლებიც ჩვენში ტკივილს აღძრავს? ან, იქნებ, ბევრ ცოცხალ არსებას, რომელსაც ცნობიერების უქონლობას მივაწერთ, აქვს ცნობიერება? იქნებ, ზოგიერთ მათგანს გათვითცნობიერების უნარის ჩანასახიც აქვს?

თუ ასეა, როგორ უნდა მოვექცეთ ცოცხალ არსებებს, რომლებზეც, მაგალითად, ექსპერიმენტები ტარდება? როგორ შეგვიძლია მათი ტკივილის შემსუბუქება?

განათლების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა, პიროვნებას ასწავლოს *შემწყნარებლობა*[2]. მაგალითად, შესაძლოა, მე ზუსტად არ ვიცი, როგორ განიცდიან ტკივილს სხვა ცოცხალი არსებები, მაგრამ მოვიქცე ისე, თითქოს, ისინიც ისევე განიცდიან ტკივილს, როგორც მე. ამ განწყობის გაღვივება კი ეჭვის აღძვრის გარეშე რთული იქნება ან თითქმის შეუძლებელიც.

ძალიან მოკლედ: როგორ გამიჩნდა ეჭვი (და მეტად დავრწმუნდი), რომ სამართლიანობის მოთხოვნილებას არამარტო ადამიანებს აქვთ

ცოტა ხნის წინ, ჩემი მეზობლის მიერ ჩვენთვის დატოვებული სამი მდედრი კატა გავასტერილეთ.[3]

როგორც წესი, გასტერილების შემდეგ, პირველი ოცდაოთხი – ორმოცდარვა საათი, ზოგადი ანესთეზიის შედეგად, ცხოველები გზააბნეულები დაიარებიან სივრცეში, უჭირთ წონასწორობის დაცვა და ა. შ..

ერთ-ერთი „შემოვლის“ დროს, ერთ-ერთ მათგანს ვეფერებოდი. იმ მდგომარეობაშიც კი, როგორსაც ზოგადი ანესთეზია მოიაზრებს, მეორე ფისომ შეძლო ენიშნებინა ჩემთვის, რომ მოფერება მასაც უნდა და მთელი ჩემი ყურადღება ერთისთვის არ უნდა დამეთმო.

თავისთავად, ჩემი ეჭვი და ვარაუდი დადასტურებას ითხოვს, თუმცა, ის, რაც განათლებამ შეძლო ესწავლებინა ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, არის შემდეგი: დარწმუნებული არ ვარ, რომ სამართლიანობის მოთხოვნილებასთან მქონდა შეხება, მაგრამ რადგან კატა ცოცხალი არსებაა, გაცილებით ადამიანური იქნებოდა, ორივე მათგანისთვის სითბოს და ყურადღების თანაბრად განაწილება მეცადა...

[1] Resources
[2] Compassion.
[3] სტერილიზაცია (Neutering) – ახალი ღირებულების ამსახველი მიდგომა, რომელიც მოიცავს ცხოველების – განსაკუთრებით, მიუსაფარი ცხოველების – გამრავლების აღკვეთას და მართვას.

არაფორმალური განათლების დაგეგმვა და დანერგვა სკოლაში

ნესტან სიხარულიძე

ქუთაისის #23 საჯარო სკოლის დირექტორი

„არაფორმალური განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება, რომლის დროსაც პიროვნებას არსებული რესურსებისა და ყოველდღიური გამოცდილების შედეგად (ოჯახი, მეზობლები, ბაზარი, ბიბლიოთეკა, მასმედია, სამსახური, თამაშები და ა.შ.) უყალიბდება დამოკიდებულებები, ფასეულობები, უნარ-ჩვევები და ცოდნა“.

პატრიცია ბრანდერი

არაფორმალური განათლება სულ უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში. ისმის კითხვა: რამ განაპირობა მისი ასეთი პოპულარობა სასკოლო საზოგადოებაში? თანამედროვე სკოლა და საგაკვეთილო პროცესი, კარგა ხანია, აღარ ჰგავს გასული საუკუნის მკაცრად გაწერილ „კლასიკურ მოდელს“. მოსწავლეს მეტი თავისუფლება, არჩევნის მეტი საშუალება ეძლევა და, მიუხედავად ამისა, მაინც არის დამაბრკოლებელი ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის მას, ბოლომდე ირწმუნოს საკუთარი შესაძლებლობების. ხშირად, შესასწავლი მასალა მოსწავლისთვის არის უინტერესო, არასათანადო ფორმით მიწოდებული, დამთრგუნველი ან/და დრო არ აქვს საკმარისი საკითხის უკეთ გასააზრებლად. სწორედ ასეთ შემთხვევებში გვევლინება მშველელად არაფორმალური განათლება.

თავდაპირველად, ჩვენს სკოლაში არაფორმალურ განათლებას ეპიზოდური, ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. დაინტერესებული, მოტივირებული პედაგოგები ცდილობდნენ განსხვავებულ ფორმატში შეხვედროდნენ მოსწავლეებს და ემსჯელათ სხვადასხვა საკითხზე. კლუბის პირველი წევრები მონდომებული, აქტიური მოსწავლები იყვნენ. მათი რაოდენობა არ იყო დიდი. შეხვედრების თემატიკაც არ გახლდათ თანმიმდევრული, ორგანიზებული. მათ ხშირად ერთჯერადი, ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო საზოგადოება მაინც ინტერესდებოდა, ვინაიდან, კლუბური შეხვედრები არ ტარდებოდა დახურულ კარს მიღმა.

ერთ-ერთი პირველი კლუბი – „ეკოჰარმონია“ (2013 წელი) დაინტერესდა ჯანსაღი კვებით და საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა იკვლიეს პურისა და ჩაის ხარისხი ჩვენს სუფრაზე. ჯგუფმა გავსაზღვრა შეხვედრის ფორმატი, აუდიტორია, გაწერა რესურსები და დაგეგმა შეხვედრა. ლიდერი მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლეებმა საინტერესოდ, მრავალფეროვანი რესურსებით წარმოადგინეს საკუთარი შეხედულებები და მიგნებები. შემდეგ კვალიფიციურმა სტუმრებმა საკუთარი ხედვები გააცნეს მოსწავლეებს. იდეების,

მოსაზრებების ნაწილი გაიზიარეს, ნაწილში კორექტირება შეიტანეს, დასაბუთებული რჩევები გასცეს. დასასრულს, მოსწავლეებმა შეაჯამეს შესრულებული სამუშაო და ყველამ ერთხმად დაასკვნა, რომ ასეთი აქტივობები მრავალმხრივ საჭიროებას პასუხობს. კერძოდ: მოსწავლე სწავლობს აუდიტორიასთან კონტაქტს, საკუთარი აზრის თამამად გადმოცემას, თაობათა შორის კავშირს, სხვისი გამოცდილების გაზიარებას და სხვ.. მეორე დღეს სკოლაში მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც საუბრობდნენ, რომ ეს რაღაც ახალი და საინტერესო იყო მათთვის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სკეპტიკურად განწყობილებიც გვყავდნენ. როცა „ეკოჰარმონიის“ წევრებმა სკოლის ეზო დაასუფთავეს და თემშიც გავიდნენ სასარგებლო აქტივობების განსახორციელებლად, მხარდამჭერთა რიცხვი გაიზარდა და ახალი კლუბიც გამოჩნდა „ევროინიციატორების სახით“ (2014 წელი). მათი პირველი საქველმოქმედო აქცია თბილისის (ვერეს ხეობის) მძიმე ეკოლოგიურ მოვლენას უკავშირდება და მას შემდეგ „ევროინიციატორები“ ყველა მოვლენის ეპიცენტრში დგანან. თაობათა ცვლამ ვერ დააშორა გუნდის წევრები. პირიქით, სკოლის კურსდამთავრებულებმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს კლუბის ახლანდელ წევრებთან და საინტერესო რჩევებს, იდეებს, გამოცდილებას უზიარებენ უმცროს მეგობრებს. ორივე კლუბის ლიდერი მასწავლებელი შორენა ტყემალაძეა.

და მაინც, ამ ყველაფერს დაგეგმილი, ციკლურად გააზრებული სახე არ ჰქონდა. ეს გამოცდილება გაცილებით გვიან მოვიდა, როცა სასკოლო საზოგადოებამ მრავალმხრივი სარგებელი კარგად გაიაზრა; როცა მასწავლებელთა უმრავლესობა, მოსწავლეები, მშობლები მიხვდნენ, რომ ეს ტყუილად დროის ხარჯვა კი არა, ძალიან კარგი საშუალება იყო, მრავალმხრივი უნარების გასავითარებლად. ასე დაიბადა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კლუბი „ადრენალინი“ (ლიდერი

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის გამწვანების აქცია.

მოხალისეობის აქციაზე განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრ EDEC-თან ერთად



სსიპ ქალაქ ქუთაისის #23 სკოლაში, „CineDOC“ პროექტის ფარგლებში, მოხალისეებმა ერთად ნახეს ფილმი.

მასწავლებელი – ნატალია ხინგავა), რომელმაც თავის ბევრ წევრს ექიმობის სურვილი გაუღვიძა (პირველი თაობის „ადრენალინის“ წევრები მალე დიპლომირებული ექიმები გახდებიან). მოსწავლეებმა დაიწყეს სასარგებლო მცენარეებზე დაკვირვება, მათი შეგროვება და ცხოვრებაში გამოყენება. მიმდინარე სასწავლო წელს განიხილეს და დაამუშავეს აქტუალური თემები:

- ნაადრევი ქორწინება და რისკები;
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები.

კლუბებმა დაიწყეს წლის სამუშაო გრაფიკისა და სამოქმედო გეგმების გაწერა, შესრულებული აქტივობების რეფლექსიების წერილობით მომზადება, შედეგების კონფერენციებზე განხილვა.

სკოლაში კინოკლუბი (ლიდერი მასწავლებელი – სოფიო ხვადაგიანი) შეიქმნა, რომელმაც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ამუშავდა „სინედოკეს“ 2 კლუბი (ლიდერი მასწავლებლები: სოფიო ხვადაგიანი და ნანა ბიბიჩაძე).

კინოკლუბის გამართულად მუშაობაში დაგვეხმარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი „კინო სკოლაში“, რომელმაც საინტერესო რესურსები მოგვაწოდა. აქვე დაიბადა „მკითხველთა“ კლუბი დევიზით „წაიკითხე ერთი წიგნი და გვიამბე მასზე“. მკითხველთა კლუბმა აქტივობაში დირექციაც ჩართო. ამ მოძრაობაში პარტნიორი სკოლა გვყავდა ქუთაისის N15 საჯარო სკოლა (დირექტორი – ელისო ჯიბლაძე, ლიდერი მასწავლებელი – ნათია კალანდაძე).

აქტიურად მუშაობს მთარგმნელობითი კლუბი, სადაც მოსწავლეები სიტყვებს ეჭიდებიან და ცდილობენ რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე წაკითხული მოქნილად და ემოციურად გადმოსცენ მშობლიურ ენაზე.



„ვანადიუმის“ წევრები სამეცნიერო პიკნიკზე.

ყველა საკვანძო კომპეტენცია თანაბრად მნიშვნელოვანია, თითოეული მათგანი ხელს უწყობს საზოგადოებაში წარმატებულ ცხოვრებას. კომპეტენციების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა კომბინაციით. ისინი ერთმანეთს ფარავს და ურთიერთდაკავშირებულია: ერთი დომენისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი ხელს უწყობს მეორე დომენის კომპეტენციას. ისეთი უნარები, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია და მოლაპარაკების უნარები, ანალიტიკური უნარები, კრეატიულობა და ინტერკულტურული უნარები ჩადებულია ყველა საკვანძო კომპეტენციაში.

ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ

ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაციამ თავისთავად მოითხოვა, რომ ყველა კათედრა აქტიურად ჩართულიყო საკლუბო მუშაობაში. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ თვითონ მიმდინარე პროექტი ქმნიდა კლუბის ჩამოყალიბების საჭიროებას. მაგალითად, CK-12, რომლის განხორციელებამ ბიძგი მისცა კლუბ „ვანადიუმის“ დაარსებას (ლიდერი მასწავლებელი – ნათია ახვლედიანი).

გაიწერა გეგმები, შეირჩა საკითხები, მაგალითად, „წითელი კომბოსტო და PH-ის ინდიკატორი“, „სურნელოვანი საპნის დამზადება“, „ფარაონის გველი“ და სხვა. მსგავსმა თემებმა მოსწავლეებში იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავებისას, მშობელთა დიდმა ნაწილმა STEM საგნების უკეთ შესწავლა დაისახა მიზნად.

ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების მიმართულებით საინტერესო თემების დამუშავებამ ბიძგი მისცა ბავშვებს, ინტეგრირებული პროექტებიც მოემზადებინათ.

STEM კონფერენცია და პროექტების პრეზენტაცია

საბაზო და საშუალო საფეხურებზე მიმდინარე აქტიურმა საკლუბო მუშაობამ სტიმული მისცა დაწყებით საფეხურს და პარალელური კლასების მასწავლებლებმა ერთობლივად აამუშავეს „მკითხველთა“ კლუბი, „წიგნის მკურნალები“, „ნორჩი ანიმატორები“. ამ მუშაობაში ბევრი მშობელიც ჩაერთო. მათ არა მარტო წაუკითხეს შვილებს და მათ თანატოლებს პატარა ამბები, არამედ სახალისო ვიქტორინებშიც მიიღეს მონაწილეობა. წლის ბოლოს, კლუბის მუშაობის შეჯამებისას, მშობლებმა აღნიშნეს, რომ ბევრად უკეთ გაიცნეს საკუთარი შვილები და დაინახეს ასეთი ჩართულობის სარგებელი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ტექნოლოგთა კლუბი, რომლის საინტერესო მუშაობის შედეგია პროექტი NASA-სთვის. ჩვენმა მოსწავლეებმა მათზე ასაკით უფროს ახალგაზრდებს გაუსწრეს რეიტინგით და, ჰაკათონში ჩართულებმა, გამორჩეული პროდუქტი შექმნეს.



ვიდეოხიდი ნიუპორტელ თანატოლებთან.

„ნიუპორტის მეგობრებმა“ პარტნიორული ურთიერთობა დაამყარეს ნიუპორტელ თანატოლებთან, გაცვალეს იდეები, გაიცნეს და გააცნეს მშობლიური ქალაქების ღირსშესანიშნაობები.

დღეს ჩვენი მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო პროექტებში. მათი ინტერესის სფერო ფართოა და სასკოლო საზოგადოების სა-

ჭიროების კვლევიდან იწყება. იკვლევენ გენდერის, ბულინგის, ნაადრევი ქორწინების პრობლემებს; გადიან თემში და საუბრობენ ამ, ერთი შეხედვით, ტაბუდადებულ თემებზე; ცდილობენ, უფრო ტოლერანტული გახადონ საზოგადოება (კლუბ „ინიციატორების“ ლიდერი მასწავლებელი – შორენა ტყემალაძე).

ფიციტური რომ გახდა ტექნოლოგიებს მიჯაჭვული მოზარდების ცხოვრებაში.

და კიდევ: სასკოლო საზოგადოების მიმღებლობის, მიკუთვნებულობის განცდა, რაც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია მომავლის საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

დანერგვაც დადებითად წაადგება მომავლის მოქალაქის ჩამოყალიბებას.

ინიციატორები პარლამენტარებთან ერთად



მხატვრული კითხვის კლუბი
(ლიდერი მასწავლებლები: ირმა ცქიფურიშვილი, ლია ჯანელიძე)



თეატრალური კლუბი „აგორა“

და მაინც, რას აძლევს სკოლას ამგვარი აქტივობების ხელშეწყობა?

პირველი: ეს არის გაცოცხლებული სასკოლო საზოგადოება;

მეორე: მომავალ თაობაში ინტელექტის მრავალი მიმართულებით განვითარება;

შემდეგ: სოციუმში ინტეგრაციის უნარების განვითარება, ასე დებოლოს, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორად დაგეგმილი და განხორციელებული არაფორმალური განათლება ყველა მოსწავლეზეა გათვლილი, ყველასათვის ხელმისაწვდომია და, ამდენად, უკუგებაც მეტია.

ჩვენი სკოლის გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ეს არის პრაქტიკული მუშაობისას დანახული ის საკითხები, რომელთა თამამად

საკვანძო კომპეტენციები დაწყებით კლასებში



ცირა გუღუა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალი აბასთუმნის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი ადგილი უჭირავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. არავისთვის იქნება სიახლე თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე სკოლისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ საგნობრივ ცოდნაზე ორიენტირება და საჭიროა გლობალური კომპეტენციების, ფუნქციური უნარებისა და პრიორიტეტული თემების ათვისება. ამჯერად შევეხები მხოლოდ გლობალური კომპეტენციების გამომუშავებას ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე. XXI საუკუნის საკვანძო (ევროსაბჭოს) კომპეტენციებთან დაკავშირებულია ზესაგნობრივი (მაკრო) ცნებები, რომელთა ასახვა საკითხთან მიმართებით ესგ-ის შედეგების მე-5 დონის მიღწევას გულისხმობს. ე.წ. სოლოს მეხუთე დონე, ესგ-ის მიხედვით, სავალდებულო არაა, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია.

განვიხილოთ აქტივობები 21-ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებისთვის, ჯადოსნურ სიუჟეტზე დაყრდნობით ზღაპრის შექმნის პროცესის მიხედვით:

წიგნიერება და ციფრული წიგნიერება კომპეტენციაა, რომელიც უკავშირდება ცნებებს კონსტრუქტი (მნიშვნელობის მინიჭება) და ნარატივი (ინფორმაციის კონსტრუირება).

კონსტრუქტი არის ინფორმაციის გააზრება, საკუთარი გამოცდილებით მისი მნიშვნელობის გადააზრება/გაღრმავება.



- რა მიზანი შეიძლება გვქონდეს ზღაპრის წერის დროს?
- ვისთვის დავწერდით ზღაპარს?
- როგორ დავწერო ზღაპარი ისე, რომ მსმენელისთვის საინტერესო იყოს?

კომპეტენციები – მულტილინგვური წიგნიერება, კულტურული ცნობიერება და თვითგამოხატვა – უკავშირდება მაკროცნებას – კულტურული მრავალფეროვნება. მოსწავლემ უნდა გაიაზროს, თუ როგორ აღიქვამენ ერთსა და იმავე ინფორმაციას სხვადასხვა კულტურის ადამიანები.

ამისთვის შევთავაზე მოსწავლეებს ზღაპრის შესახებ ინტერაქცია კითხვებით:

- რა არის ზღაპარი?
- რომელი ზღაპარი ახსოვთ ყველაზე მეტად და რატომ?
- რატომ ქმნიან ზღაპრებს?

ინფორმაციის კონსტრუირებას/ნარატივად გარდაქმნას, საკუთარი ნარატივის ჩამოყალიბებას, რომელშიც ასახული იქნება საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი მასალა, საკუთარი მიზნებისა და აუდიტორიის გათვალისწინებით, კლასში მივაღწიე გონებრივი იერიშით. გონებრივი იერიშის დროს გამოვიყენე საკვანძო შეკითხვები:





კულტურული გაცნობიერებულობისა და გამოხატვის კომპეტენცია მოიცავს იმის გაგებასა და პატივისცემას, თუ როგორ ხდება იდეებისა და მოსაზრებების კრეატიულად გამოხატვა და გადაცემა სხვადასხვა კულტურაში ხელოვნებისა და სხვა კულტურული ფორმების მეშვეობით. ის, ასევე, მოიცავს ადამიანის მცდელობას გაიგოს, განავითაროს და გამოხატოს საკუთარი იდეები და შეიგრძნოს საკუთარი ადგილი ან როლი საზოგადოებაში სხვადასხვა გზითა და სხვადასხვა კონტექსტში.

ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ

ამ შემთხვევაში, აღნიშნული კომპეტენციები ვითარდება შემდეგი აქტივობებით:

1. მულტილინგვური წიგნიერება: ზღაპრის წერის დროს გამოყენებული მულტილინგვური ლექსიკა (ხმაბაძვითი სიტყვები, გამოგონილი ლექსიკური ერთეულები და ა.შ.).
2. კულტურული ცნობიერება: ზღაპრის შექმნისთვის განსხვავებული კულტურული გარემოს, ქცევების, დამოკიდებულებების გამოყენება გრაფიკული ჩარჩოს დახმარებით

გარემო	კონკრეტული მაგალითები
ქცევა	კონკრეტული მაგალითები
დამოკიდებულება	კონკრეტული მაგალითები

შენიშვნა: შევსებული ჩარჩოს გათვალისწინება უნდა მოხდეს საბოლოო პროდუქტის შექმნის დროს.

კომპეტენცია — **რაოდენობრივი წიგნიერება** და მასთან დაკავშირებული მაკროცნებები — **მოდელი/კვლევა**, გულისხმობს (ბუნებრივია, გაფართოებული აბსტრაქტის შემთხვევაში) კანონზომიერებების აღმოჩენასა და მოდელირებას ახალ სიტუაციასთან მიმართებით;

კვლევის შემთხვევაში ვთავაზობთ მოსწავლეებს მათი ასაკის შესაბამის ჰიპოთეზათა გაანალიზებას. მაგალითად, პერსონაჟების პორტრეტის გადმოსაცემად ვიყენებთ იდეების გენერირებას და ბავშვები იკვლევენ, რომელ პერსონაჟს როგორი გარეგნობა შეეფერება. ამავე დროს, უნდა მოხდეს პერსონაჟთა მოდელირებაც, რომელიც ზღაპრის სიუჟეტთან იქნება კავშირში.

პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენციასთან კავშირშია მაკროცნება — **სტრატეგია, რომელიც გულისხმობს** საკითხის/საკითხების შესასწავლად ან დავალების შესასრულებლად ხერხების გამოყენებას.

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს ვაძლევ აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობას — რომელი ხერხებით შეძლებენ ისინი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას.

სამოქალაქო კომპეტენციასთან დაკავშირებული მაკროცნება **მოქალაქე** გამოკვეთს თუ რა ზეგავლენა მოახდინა მოსწავლეზე შეძენილმა ცოდნამ. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობამ გაამდიდრა მათი ლექსიკა, ფანტაზია და თხრობის უნარი.

კომპეტენცია **მეწარმეობა** დაკავშირებულია მაკროცნებასთან **ინოვაციური პროექტი**. მოსწავლეებმა განაცხადეს, რომ დახვეწენ თავიანთ დავალებებს და უმცროსკლასელებს წაუკითხავენ; ესაუბრებიან მათ ზღაპრის შესახებ და გაუზიარებენ ასეთი დავალებების შექმნის ხერხებს.

არაფორმალური განათლების გამოცდილება



კახაბერ ჩაკვეტაძე

მასწავლებლის ეროვნული პრემიის მფლობელი, ტრენერი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქვიტირის საჯარო სკოლის ისტორიის მენტორი მასწავლებელი; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფის და ზოგადი მიმართულების ექსპერტი

არაფორმალური განათლება მოიაზრება, როგორც სასიცოცხლო პროცესი, რომლის დროსაც თითოეული ინდივიდი იძენს გარკვეულ დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, უნარებსა და ცოდნას და ეს მიიღება ყოველდღიური გამოცდილებით, სასწავლო გარემოს გავლენით და სხვადასხვა რესურსის გამოყენებით. შეიძლება ითქვას, ის ნებაყოფლობითი ტიპის განათლებაა, რომელიც ეყრდნობა მრავალფეროვან სასწავლო მეთოდებს და მისი მიზანი სწავლების ხარისხი კი არ არის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სწავლაა.

აღსანიშნავია, რომ არაფორმალური განათლება არ არის ფორმალური განათლების ჩანაცვლება, რომელიც ფუნდამენტური და საკვანძოა პიროვნების განვითარებისთვის. არაფორმალურ განათლებას შეუძლია შეავსოს ის საჭიროებები, რომლებიც რეგულირებულ სასწავლო დაწესებულებებს აკლია, მას შეუძლია უფრო პერსონალიზებული სწავლების განვითარების საშუალება მისცეს თითოეულ მოსწავლეს.

დღევანდელ ციფრულ სამყაროში არაფორმალური განათლება კიდევ უფრო მიმზიდველი და პოპულარული ხდება, რადგან ჩვენ ჩვენი სურვილის შესაბამისად შეგვიძლია შევიმეცნოთ სამყარო და ის რასაც აღმოვაჩენთ და ვისწავლით, სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, რადგან ჩვენ თვითონ გვქონდა სწავლის, ახლის ძიების სურვილი.

მოკლედ შეგვიძლია შეაჯამოთ არაფორმალური განათლების სარგებელი:

ეხმარება მოსწავლეების პიროვნულ ზრდას და განვითარებას; სხვადასხვა უნარის განვითარების შედეგად, მოსწავლე იმაღლებს თვითშეფასებას; შეუძლია კრიტიკულად აღიქვას გარემო, სოციალური ნორმები, სახელმწიფოს ძალაუფლების მექანიზნები და სხვა. ასევე, ზრდის დასაქმების ან თვითდასაქმების შესაძლებლობას.

არაფორმალური განათლება განათლების ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ფართოდ გამოიყენება განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის, ინდოეთში. ამ ტიპის განათლების ბენეფიციარები არიან,

ძირითადად, განსხვავებული წარმოშობის, განსხვავებული კულტურის ან განსხვავებული სასწავლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები. (ზოგჯერ ეს შეიძლება იყოს არაპრივილიგირებული ფენები) აქედან გამომდინარე, არაფორმალური განათლების მასწავლებლები კიდევ უფრო მეტად უნდა იყვნენ გარკვეულნი ინოვაციური სწავლების მეთოდებში; მათი სასწავლო პროგრამები გაჯერებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდოეთში ფორმალური განათლება გულისხმობს იერარქიულად სტრუქტურირებულ საგანმანათლებლო სისტემას, რომელიც მოიცავს პერიოდს საბავშვო ბაღიდან უნივერსიტეტის ჩათვლით, ასევე პროფესიულ განათლებას და გადამზადების ინსტიტუტებს; ხოლო არაფორმალური განათლება, რომელსაც, ასევე, უწოდებენ „ინციდენტურ განათლებას“ (ან „შემთხვევით განათლებას“), განიხილება როგორც არაორგანიზებული განათლება, რომელიც მიემართება ინდივიდის მთელი სიცოცხლის განმავლობაში საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობის გზით. შეიძლება ითქვას, რომ ინდოეთში არაფორმალური განათლება მიღებულია, როგორც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიმდინარე პროცესი, რომლის საშუალებითაც თითოეული ინდივიდი იძენს ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, უნარებსა და ცოდნას, რაც უმეტესად განპირობებულია იმ გარემოთი, რომელშიც მათ უწევთ ქმედება.

განათლება უწყვეტი პროცესია; სწავლა პროგრესირებს მოსწავლის ზრდასთან ერთად. ინდივიდი სხვადასხვა რამეს სწავლოს მშობლებისგან ან ოჯახის სხვა წევრებისგან. სკოლაში შესვლის ან თუნდაც სკოლის გარეშე, ინდივიდი ძალიან ბევრ და მნიშვნელოვან რამეს სწავლობს თანატოლებთან ურთიერთობისას, მეგობრების წრეში, ტელევიზორის ან კომპიუტერის საშუალებით და სხვა... ამ შემთხვევაში, სწავლება ხდება დაკვირვებით ან მიბაძვით ანუ არაფორმალური განათლების გზით.

როგორც წესი, არაფორმალური განათლება ინდოეთში არის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომლის მიზანია ორიენტირის აღება ახალგაზრდების განვითარებაზე. მას არ აქვს ასაკობრივი შეზღუდვა, მოიცავს სწავლების სხვადასხვა მეთოდს, ხელს უწყობს სათანა-

დო საგანმანათლებლო რესურსების გადატანას უფრო საჭიროებებზე დაფუძნებულ ადგილებში; ასევე, ის შეიძლება მოერგოს სხვადასხვა სასწავლო პროგრამას, მაგალითად, წიგნიერებას, კულტურულ მრავალფეროვნებას და სხვა..

აღსანიშნავია, რომ ინდოეთში ფორმალური განათლება ვერ აკმაყოფილებს ყველა მოქალაქის საჭიროებებს, ამიტომ აუცილებელია, რომ ალტერნატიულმა სისტემამ, როგორიცაა არაფორმალური განათლება, შეავსოს ეს დეფიციტი. არაფორმალური განათლება შექმნილია ძირითადი სასწავლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ასაკში. აღსანიშნავია, რომ არაფორმალური განათლებით შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის გარეთ დარჩენილმა მოზარდებმაც. ძირითადი სამიზნე ჯგუფები მაინც არიან ის მოზარდები, რომლებიც გამოირჩევიან დაბალი ეკონომიური შემოსავლებით – უმუშევართა ოჯახის წევრები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მოზარდები, რომლებმაც მიატოვეს სწავლა და ა.შ..

ინდოეთში არაფორმალური განათლება განიხილება, როგორც ფორმალური განათლების დამატებითი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მოზარდების საჭიროებებზე. იგი არ ადგენს პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს, რის გამოც ამ პროგრამით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ ინდივიდს, ნებისმიერი ადგილიდან. არაფორმალური განათლების მიღება ხდება თავისუფალ ატმოსფეროში და იგი თავისუფალია ნებისმიერი შეზღუდვისა თუ კონტროლისგან. პროგრამა საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, გაიუმჯობესონ მათთვის საჭირველი უნარები. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ზოგადად ერის, ქვეყნის განვითარებას, რადგან ადამიანთა უმრავლესობას შეუძლია, პრაქტიკული უნარების საშუალებით, უფრო მარტივად დასაქმდეს ან თვითდასაქმდეს.

ინდოეთში არაფორმალური განათლება განკუთვნილია არა მხოლოდ მოსწავლეებისთვის, არამედ ზრდასრული მამაკაცებისთვისაც და ქალებისთვისაც; არის მოქნილი და მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე და უნარებზე. მაგალითად, თუ მოსწავლე გამოხატავს სოფლის მეურნეობის მიმართ ინტერესს, მას აქვს საშუალება, მიიღოს განათლება სწორედ ამ კონკრეტული მიმართულებით და გაიუმჯობესოს შესაბამისი უნარები. ინდოეთში არაფორმალური განათლება ძირითადად ორიენტირებულია სამუშაოზე.

დღესდღეობით ინდოეთში ყველაზე პოპულარული არაფორ-

საკვანძო კომპეტენციები არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების დინამიური კომბინაცია, რომელთა განვითარებაც საჭიროა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, დაწყებული აღრეული ასაკიდან. ინკლუზიური და მალალი ხარისხის განათლება, მომზადება და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა ყველას აძლევს საკვანძო კომპეტენციების განვითარების საშუალებას. აქედან გამომდინარე, კომპეტენციაზე ორიენტირებული მიდგომები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების, მომზადებისა და სწავლის ყველა გარემოში.

ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ

მალური განათლების სახეებია: დისტანციური განათლება (რომელიც უზრუნველყოფს სწავლაზე წვდომას, როდესაც ინფორმაციის წყარო და მოსწავლე განცალკავებულია დროისა და მანძილის მიხედვით), უწყვეტი განათლება (ახალგაზრდების ხელშეწყობა წიგნიერებისა და ინგლისური ენის ცოდნის დაუფლებაში), დუალური განათლება (იგივე ორმაგი განათლების სისტემა აერთიანებს სტაჟირებას კომპანიაში და, ამავე დროს, პროფესიულ განათლებას პროფესიულ სასწავლებელში, რომელიც გაერთიანებულია ერთ კურსში. სტუდენტებს საშუალება აქვთ თეორიული და პრაქტიკული კურსი გაიარონ ერთ სივრცეში, რაც უფრო პრაქტიკული და მოსახერხებელია) და სოფლის განათლება (რომელიც ხელს უწყობს შტატში არსებული ჯანდაცვის დონის გაუმჯობესებას, ეხმარება მკვიდრ მოსახლეობას მასწავლებლის პროფესიის დაუფლებაში). ინდოეთში არაფორმალური განათლება შეიძლება განახორციელონ როგორც სამთავრობო სტრუქტურებმა, ასევე მოხალისეობრივმა სააგანტოებმა.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არაფორმალური განათლების სახე არის „საზოგადოებაზე დაფუძნებული განათლება“, რომლის მონაწილე მეც ვიყავი ქართველ მასწავლებლებთან ერთად, ინდოეთში, უტარ-პრადეშის შტატში, კუნდაში. ამ ტიპის არაფორმალური განათლება უმეტესად მიმდინარეობს სათემო ცენტრებში, სოფლის ბიბლიოთეკაში ან სხვა, ნებისმიერ სათემო სივრცეში და მისი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება. შეხვედრებზე ჩვენ შეკრებილ მოსახლეობას ვესაუბრეთ განათლების მნიშვნელობაზე, გენდერულ თანასწორობაზე, კულტურათა მრავალფეროვნებაზე, ტოლერანტობასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ასევე, მნიშვნელოვანია ე.წ. „უნარების განვითარების სემინარები“. ეს სემინარები უზრუნველყოფს მონაწილეების დაოსტატებას ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ლიდერობა, ეფექტური კომუნიკაცია და პრობლემის იდენტიფიცირება და მისი ალტერნატიული გადაჭრის გზების ძიება.

„საზოგადოებაზე დაფუძნებული განათლება“ და „უნარების განვითარების სემინარები“, შეიძლება ითქვას, ძალიან პოპულარულია მოსწავლეებში და სტუდენტებშიც. ჩვენ საშუალება გვქონდა შევხვედროდით მოსწავლეებს და გვესაუბრა მნიშვნელოვან საკითხებზე. James International School-რომელიც 350-ზე მეტ მოსწავლეს აერთიანებს დიდი

ინტერესი გამოხატა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო მასწავლებლებს საშუალება ქონდათ, გაცნობოდნენ ინოვაციურ სასწავლო მეთოდებს და ჩვენი მენტორობით დაენერგათ საგაკვეთილო პროცესში. შეხვედრები, რა თქმა უნდა, ატარებდა ნებაყოფლობითი დასწრების/მონაწილეობის ფორმას და იმართებოდა სასწავლო პროცესისგან თავისუფალ დროს. ამ შემთხვევაში, ჩვენ გამოვიყენეთ არაფორმალური განათლების ორივე ფორმის კოლაბორაცია.

ასევე, აღსანიშნავია სკოლისა და თემის აქტიური კომუნიკაციის შედეგად დაგეგმილი და არაფორმალურ გარემოში განხორციელებული პროექტები, რომლებიც მიმართულია თემის საჭიროებებზე. ძალიან სასიამოვნო სანახავია თემის პრობლემის გადაჭრაში გაერთიანებული ყველა სათემო რგოლი (სკოლა, თემის მცხოვრებლები და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული). მაგალითად, ჩვენი კუნდაში ყოფნის დროს დაიგეგმა და დაიწყეს პროექტის განხორციელება, რომლის მიზანი იყო საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ველოსიპედით მოსარგებლეებისთვის. პრობლემის იდენტიფიცირებაში ჩართული იყო კუნდას თემის დაახლოებით 70-ზე მეტი მოქალაქე, რომლებმაც საიცარი სიზუსტით შეძლეს პრობლემის იდენტიფიცირება, მისი აქტუალობის დასაბუთება და სხვა (იგივე „პროექტული სწავლება“, რომელიც ხორციელდება არასასკოლო დროს არაფორმალურ გარემოში).

ინდოეთის სახელმწიფო აღიარებს არაფორმალურ განათლებას. მის მისაღებად ბენეფიციარმა უნდა მიმართოს არაფორმალური განათლების სერტიფიცირების ცენტრს და მიიღოს შესაბამისი სერტიფიკატი, რაც დაეხმარება მას დასაქმების სფეროში წარმატების მიღწევაში.

არაფორმალური განათლება ინდოეთში დამოუკიდებლად ხორციელდება და მილიონობით ადამიანს ეძლევა მისი მიღების შესაძლებლობა.

ნუგზარ კოხრეიძე

სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბის „თაობათა დიალოგი“ თავმჯდომარე

„კულტურული გამომხატველობის“ კომპეტენცია არაფორმალური განათლების სივრცეში

ევროპული კულტურული მემკვიდრეობის რთულ მოზაიკაში საქართველო დგას, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის შერწყმის საუკეთესო მაგალითი. მისი უნიკალური ისტორიული გამოცდილება, ენა და ტრადიციები მნიშვნელოვან კულტურულ სეგმენტად აქცევს მას. რამდენადაც საქართველო უახლოვდება ევროპულ სტანდარტებს, ჩნდება აუცილებლობა, რომ სკოლის მასწავლებლებმა გაითავისონ ევროპული ჩარჩოს მიერ დადგენილი კომპეტენციები. ამ სტატიაში ყურადღებას კულტურული გამომხატველობის კომპეტენციის მიმართულებით გავამახვილებთ.

სტატიის მიზანია, წარმოაჩინოს კულტურული გამომხატველობის არსი, გააზიაროს ევროპული გამოცდილება პროგრამა Erasmus+ სახით და წარმოაჩინოს მაგალითები თუ როგორ შეიძლება მისი დამკვიდრება სასკოლო საზოგადოებაში.

„ევროპული ჩარჩო“, კულტურული გამომხატველობის კომპეტენციის თვალსაზრისით, ხაზს უსვამს გარემოს ხელშეწყობის მნიშვნელობას, სადაც მრავალფეროვანი კულტურული იდენტობები ჰარმონიულად თანაარსებობს. ის ხაზს უსვამს საკუთარი და სხვათა კულტურის აღიარებას, გაგებას, გამოხატვას და დაფასებას. ეს კი მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომელიც განსხვავებულ კულტურათა გზაჯვარედინზეა.

ტერმინი კულტურული გამომხატველობა წარმოადგენს ევროპული ჩარჩოს საკვანძო კომპეტენციების მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მე-8 კომპეტენციას. ის მიესადაგება ადამიანის უნარს, დააფასოს იდეების, გამოცდილებებისა და ემოციების შემოქმედებითი გამოხატვის მნიშვნელობა სხვადასხვა მედია საშუალებით, მუსიკის, ლიტერატურის და პლასტიკური ხელოვნების ჩათვლით[1].

ცოდნის ნაწილში კულტურული გამომხატველობა მოიცავს: 1. ძირითადი კულტურული ნამუშევრების საბაზისო ცოდნას, პოპულარული კულტურის – როგორც ადამიანურ ისტორიაში მნიშვნელოვანი მონაპოვრის – ჩათვლით; 2. ეროვნული და ევროპული კულტურული მემკვიდრეობისა და მისი მსოფლიო მნიშვნელობის გაცნობიერებას; 3. ევროპის კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების ცოდნას; 4. პოპულარული გემოვნების განვითარებისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ესთეტიკური ფაქტორების მნიშვნელობის გაცნობიერებას.

უნარ-ჩვევების გამომუშავების ნაწილში ის გულისხმობს: 1. მრავალფეროვანი მედიასაშუალებებით მხატვრული თვითგამოხატვის უნარს, ინდივიდის თანდაყოლილი ნიჭიდან გამომდინარე; 2. კულტურის მრავალფეროვან სპექტრში შექმნილი ხელოვნების ნიმუშებითა და წარმოდგენებით ტკბობისა და დაფასების უნარს; 3. საკუთარი შემოქმედებითი შეხედულებების სხვათა ხედვასთან დაკავშირების უნარს; 4. კულტურულ საქმიანობაში ეკონომიკური შესაძლებლობების ამოცნობას და გაანალიზებას.

რაც შეეხება დამოკიდებულების ნაწილს, ის მოიცავს: 1. გახსნილობას კულტურული გამომხატველობის მრავალფეროვნებისადმი; 2. მზადყოფნას ესთეტიკური შესაძლებლობების მხატვრული თვითგამოხატვის მეშვეობებით დამუშავებისთვის და უწყვეტი ინტერესის გამოჩენას კულტურული ცხოვრებისადმი; 3. ინდივიდუალურობის ძლიერ შეგრძნებას შერწყმული მრავალფეროვნების პატივისცემასთან[2].

მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც განსაკუთრებით ახალგაზრდული მიმართულებით მუშაობს, ყურადღებას აქცევს კულტურათაშორის დიალოგს. 2007 წლიდან ევროკომისიის პროგრამამ ახალგაზრდობა მოქმედებაში (Youth in Action), დღეს ერასმუს+ (Erasmus+), მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალგაზრდებში კულტურული გამომხატველობის კომპეტენციის განვითარებაში.

Erasmus+ არის ევროკავშირის პროგრამა განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროებში.

პროგრამის 2021-2027 წლების ბიუჯეტი €26.2 მილიარდი ევროთი განისაზღვრება და მის მიზანს სოციალური ჩართულობის, მწვანე და ციფრული განვითარებისა და დემოკრატიულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა წარმოადგენს.

Erasmus+ მობილობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობებს შემდეგი მიმართულებებით

ყველა მოსწავლემ, მათ შორის, სოციალურად დაუცველმა ან სპეციალური საჭიროების მქონე პირმა, ინკლუზიურ გარემოში შეიძლება მიიღოს სათანადო მხარდაჭერა თავისი საგანმანათლებლო პოტენციალის რეალიზებისათვის. ასეთი მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს ენის სწავლებას, აკადემიურ და სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას, თანატოლების სწავლებას, კლასგარეშე აქტივობას, კარიერულ კონსულტაციებს (პროფორიენტაციას) ან მატერიალურ დახმარებას

ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ

იძლევა: 1. უმაღლესი განათლება; 2. პროფესიული განათლება; 3. საშუალო განათლება; 4. ზრდასრულთა განათლება; 5. ახალგაზრდობა; 6. სპორტი.

გაცვლითი პროგრამები, სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები და ბანაკები აუცილებლად მოიცავს სხვადასხვა კულტურის გაცნობის აქტივობებს. მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი ადათ-წესები, ენა, კულტურა, ტრადიციები; წარადგინონ საკუთარი ქვეყანა და მისი სამზარეულო. ახალგაზრდები საუკეთესო სკოლას გადიან მრავალფეროვანი სამყაროსა და ადამიანების აღმოჩენისას, პოულობენ საერთოს და განსხვავებულს, სწავლობენ უცხოს მიღებას და აზიარებენ საკუთარს.

Erasmus+ პროგრამა, მისი აკადემიური უპირატესობების მიღმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მონაწილეთა შორის კულტურული გამომხატველობის კომპეტენციის ამაღლებაში. ახალ კულტურულ გარემოში ცხოვრების გზით, ახალგაზრდები სწავლობენ არა მხოლოდ სხვა კულტურას, არამედ, უფრო ხშირად, საკუთარ კულტურას.

Erasmus+ პროგრამა, რომელიც ინიცირებულია ევროკავშირის მიერ, ცნობილია ევროპის ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობით, თუმცა, მისი შედეგები სცილდება უბრალო აკადემიურ გაცვლებს. ის უზრუნველყოფს კულტურული დიალოგის, სწავლისა და გამოხატვის შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ძირითადად ცნობილია უნივერსიტეტების სტუდენტთა გაცვლით, ის, ასევე, მოიცავს ტრენინგებს, ინსტიტუტებს შორის პარტნიორობას და ახალგაზრდულ აქტივობებს. ამ გაცვლის ხელშეწყობით, Erasmus+ ბუნებრივად უწყობს ხელს განსხვავებული ევროპული (და ზოგიერთი არაევროპული) კულტურების ურთიერთქმედებას.

Erasmus+-ი კულტურული გამომხატველობის კომპეტენციას პირდაპირ უწყობს ხელს. სხვა ქვეყანაში მცხოვრები ახალგაზრდები სწავლობენ ორიენტირებას, შეფასებას და გამოხატვას ახალ კულტურულ კონტექსტში. უცხოურ უნივერსიტეტებში გავლილი კურსები სტუდენტებს უხსნის სხვადასხვა პერსპექტივას და აზიარებს ახალ მეთოდოლოგიებს. პროგრამა, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურად დახვეწილია, ხშირად ატარებს ზედმეტად გაფართოებულ ელფერს, დაწყებული ისტორიის სწავლებით დამთავრებული ლიტერატურის კურსებით. ბევრი უნივერსიტეტი

და დაწესებულება აწყობს ღონისძიებებს, მოგზაურობებსა და აქტივობებს სპეციალურად Erasmus+ სტუდენტებისთვის ადგილობრივი კულტურის გაცნობის მიზნით, რაც ხელს უწყობს აქტიურ კულტურულ ჩართულობას. Erasmus+ მონაწილე სწავლობს ადგილობრივ ან საერთაშორისო ენებს, რაც კულტურული გამომხატველობის კიდევ ერთი კომპონენტია.

სხვა ქვეყანაში ცხოვრებით, ახალგაზრდები ხშირად უპირისპირდებიან და ამსხვრევენ ადრე არსებულ სტერეოტიპებს, ცდილობენ გაიაზრონ სხვა კულტურების უფრო ავთენტური გაგება. განსხვავებულ თანატოლებთან ურთიერთობა, კულტურული გაუგებრობების მართვა და ცხოვრების სხვა კულტურულ კონტექსტში ორიენტირება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ახალგაზრდის პიროვნულ ზრდას და ადაპტირებას უცხო გარემოში.

მიუხედავად იმისა, რომ Erasmus+ ხელს უწყობს კულტურული გამომხატველობის კომპეტენციას, ის, ასევე, შეიცავს გამოწვევებს: 1. საწყისი კულტურული შოკი (მრავალი ახალგაზრდა განიცდის კულტურულ შოკს, რომელიც შეიძლება იყოს რთული, მაგრამ საბოლოო ჯამში სასწავლო პროცესის ღირებული ნაწილია); 2. კლასტერიზაციის რისკი (არსებობს საერთაშორისო სტუდენტების ტენდენცია, რომ კლასტერებად ჩამოყალიბდნენ, რაც ხელს შეუშლის ინტეგრაციას სხვებთან).

ამ პროგრამის აქტიური მონაწილეა სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“ (RICDOG), რომელმაც განახორციელა უამრავი გაცვლითი, სასწავლო და ტრენინგ პროგრამები. ამ დროის მონაცემებით, პროგრამაში 700-ზე მეტი ახალგაზრდა ჩაერთო. Erasmus+-მა შესაძლებლობა მისცა ყველა ჩართულ მონაწილეს, გაეცნო განსხვავებული კულტურა, გაეფართოებინა მსოფლმხედველობა, შეეძინა სხვადასხვა უნარი, როგორებიცაა თვითგამოხატვის უნარი, საკუთარი ნიჭის

გამოვლენის, სხვისი კულტურის დაფასების უნარი და სხვა.

დღიდან შექმნისა, RICDOG-ის ერთ-ერთი ამოცანაა, ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურათაშორისი ურთიერთობების გამყარებას, მრავალკულტურული არეალისა და გარემოს ფორმირებას, კულტურის დარგების განვითარებას და ახალი ნიჭიერი თაობის გამოვლენას.

ამ ამოცანის შესასრულებლად RICDOG-ი მრავალ პროგრამას ახორციელებს. 2013 წელს მან ევროპის მოხალისეთა სერვისის აკრედიტაცია მიიღო, რომლის ფარგლებში 14 ევროპელ მოხალისეს გაუწია მასპინძლობა და 6 ადგილობრივი მოხალისე გააგზავნა საზღვარგარეთ. უცხოელმა მოხალისეებმა, ადგილობრივ მოსწავლე-ახალგაზრდებთან ერთად, მრავალი ერთობლივი პროგრამა შეიმუშავეს. მაგალითად, Art is Fun, რომელშიც სკოლის ასაკის ბავშვები, ხატვისა და ხელნაკეთი ნივთების კეთების პარალელურად, ინგლისურ ენას სწავლობენ.

2014 წელს RICDOG-მა მიიღო Peace Corps 2 ამერიკელი მოხალისე, რომლებმაც 4 წლის განმავლობაში მრავალი კულტურული და სხვა მიმართულების პროგრამა განახორციელეს. მაგალითად, კულტურული გაცვლითი საღამოები, სადაც იმ დროისთვის ქუთაისში მყოფი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები მოიწვიეს. ჩატარდა მათი ქვეყნების კერძების გამოფენა და ტრადიციების პრეზენტაცია ადგილობრივი მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის. ცალკე აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები ყოველდღიურ მუშაობის პროცესში უცხოელებთან ერთად სწავლობდნენ მათთან ურთიერთობას და საქმიანობას. ერთ-ერთმა პორტუგალიელმა მოხალისემ კი ქართული ენის სწავლების ვიდეო გაკვეთილების პროგრამა წამოიწყო უცხოელებისთვის, რომელიც youtube-ზე დიდი მოწონებით სარგებლობდა.

ევროპის სოლიდარობის კორპუსი (ადრე ევროპის მოხალისეთა სერვისი) და Peace corps მოხალისეები აქტიურად მუშაობენ სკოლებში და მათ დიდი წვლილი მიუძღვნით კულტურული გამომხატველობის კომპეტენციის დამკვიდრებაში. არაერთმა მოხალისემ დაუვიწყარი მოგონება და კვალი დატოვა სკოლებში თავისი მოღვაწეობით და ადგილობრივი თემის დიდი სიყვარული დაიმსახურა. გარდა ამისა, ეს მოხალისეები საქართველოს, ქართული კულტურისა და ტრადიციების ყველაზე აქტიური ქომაგები გახდნენ.

საქართველო ხალხური მუსიკით, ცეკვით, ხელოვნებითა და ლიტერატურით გამორჩეულია და ევროპულ და აზიურ ტრადიციებთან ბევრი საერთო აქვს. საქართველოში სკოლის მასწავლებელთა გამოწვევა ორმხრივია: შეინარჩუნონ ქართული ტრადიციების უნიკალურობა ევროპული კულტურული მემკვიდრეობის უფრო ფართო გაგების ფონზე.

კულტურული გამომხატველობის კომპეტენციის განვითარება გადამწყვეტია ჩვენს სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში. ის ხელს უწყობს გაგებას, მიღებას და ეფექტურ კომუნიკაციას სხვადასხვა ჯგუფში. აქ გვაქვს რამდენიმე მაგალითი, რომელიც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას და ასახავს მის პრაქტიკულ გამოყენებას.

მაგალითად, ავიღოთ ხელოვნების გაკვეთილი, რომლის მიზანია, მოსწავლეებს შეასწავლოს სხვადასხვა ფრესკის ისტორია. როგორც იცით, ევროპა, განსაკუთრებით იტალია, ცნობილია თავისი ფრესკებით. საქართველოს, ასევე, აქვს უძველესი ეკლესიების კედლის მხატვრობის მდიდარი ტრადიცია. მასწავლებელს შეუძლია დაიწყოს კონცეფციის გაცნობა ვატიკანში სიქსტის კაპელის ცნობილი ფრესკებით, განიხილოს მათი ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა. ამის შემდეგ გაკვეთილი შეიძლება

გაგრძელდეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ან გელათის მონასტრის ფრესკების განხილვით. ასეთი მიდგომა ორ მიზანს აღწევს: 1. მოსწავლეები გაეცნობიან ევროპულ ხელოვნებას; 2.გაძლიერდება ქართული კულტურული წვლილის მნიშვნელობა.

კიდევ ერთ მაგალითად საკმაოდ გავრცელებული ღონისძიება შეიძლება მოვიყვანოთ — „ერების ფესტივალი", რომლის მიზანია, მოსწავლეებმა შეიმეცნონ სხვადასხვა ერის კულტურა და ტრადიციები. სკოლის სხვადასხვა კლასი შემთხვევითობის პრინციპით ინაწილებს ქვეყნების დასახელებას (სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ესპანეთი, იტალია და სხვა). ერთი კვირის განმავლობაში კლასმა უნდა შეისწავლოს ქვეყნის კულტურა, ტრადიციები და ფესტივალზე წარადგინოს კერძი, სიმღერა და ცეკვა.

საკმაოდ დიდი გამოწვევაა მიგრაცია-ინტეგრაციის თემა. ქვეყანაში, რომლის უამრავი მოქალაქე საზღვარგარეთ არის სამუშაოდ წასული და, ამავე დროს, რომელშიც ბევრი უცხოელი სწავლობს ან ცხოვრობს, მნიშვნელოვანია მიმღებლობის უნარის გამომუშავება. ამ ნაწილში ერთ-ერთი გამოწვევაა მიგრანტების ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაცია, ურთიერთპატივისცემის, გაგებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა. მასწავლებელს შეუძლია ასეთი აქტივობა მოაწყოს: მოიწვიოს ქალაქში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომლებიც საკუთარი ქვეყნის, კულტურის და ტრადიციების შესახებ პრეზენტაციებს გამართავენ ან წაიყვანოს მოსწავლეები ისეთ კულტურულ ადგილებში, სადაც განსხვავებული ეროვნების, სარწმუნოებისა და კულტურის ადგილობრივი მცხოვრებლები ცხოვრობენ. ეს ხელს შეუწყობს იმ მრავალფეროვნების აღქმას, რომელიც საკუთრივ ქვეყანაშია და გააადვილებს უცხოელების ინტეგრაციას.

უფრო ფართო მიზნის მისაღწევად RICDOG-მა ქალაქ ქუთაისში შექმნა ინტეგრაციის პლატფორმა, რომლის მიზანია საქართველოში კანონიერი საფუძვლით მცხოვრებ უცხოელთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება-იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

ინტეგრაციის პლატფორმა წარმოადგენს უცხოელებთან პირდაპირი კომუნიკაციის არხს, რომელიც შესაძლებელს ხდის ინტეგრაციის კუთხით არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის გზების ერთობლივ ძიებას.

ინტეგრაციის პლატფორმის, როგორც ერთიანი სათათბირო ორგანოს, საქმიანობაში უცხოელებთან ერთად, ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობა, სახელმწიფო უწყებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე, ბიზნესსექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სხვა რელევანტური აქტორები.

რამდენადაც საქართველო აგრძელებს საგანმანათლებლო სტანდარტების ევროპულ ჩარჩოებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესს, სკოლის მასწავლებლების როლი გადამწყვეტი ხდება. კულტურული გამომხატველობის კუთხით მათი კომპეტენციების გაღრმავებით, მასწავლებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ ახალგაზრდები საქართველოში გაიზარდონ, როგორც თავიანთი ერის, ისე მსოფლიოს ინფორმირებული, მგრძნობიარე და ამაყი მოქალაქეები. ღრმად ფესვგადგმული ქართული ტრადიციების შერწყმამ უფრო ფართო ევროპულ კულტურულ ჩარჩოსთან შეიძლება მართლაც გამოიწვიოს უფრო ჰარმონიული, ურთიერთდაკავშირებული და გამდიდრებული სასწავლო გარემო.

[1] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6838

[2] საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის ევროპული ჩარჩო. ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები. ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი. თბილისი, 2006.

მაია მამისეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თამარ მეფის სახელობის სოფელ გეგუთის #1 საჯარო სკოლის დირექტორი

პროფესიული ზრდის უწყვეტი მხარდაჭერა და არაფორმალური განათლების განვითარება ფორმალური განათლების გასაძლიერებლად

როგორც ვიცით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მოქმედ საკანონმდებლო ბაზას. როგორც ევროპული მომავლის ქვეყანა, მნიშვნელოვანია, დღეს ქმედით ნაბიჯებს ვდგამდეთ საერთაშორისო დონის განათლების უზრუნველსაყოფად და, თუ დავაკვირდებით, ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის მთავარი ორიენტირიც განათლების ევროპულ გზაზე გადის. 2006 წელს ევროპის პარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ მიიღეს რეკომენდაცია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ, შეიქმნა „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო“. აღნიშნული დოკუმენტის გაცნობის შემდეგ ხშირად ვფიქრობ, თუ როგორ ვითვალისწინებთ მას პრაქტიკაში, რას ვაკეთებთ, როგორც სკოლა და როგორ ვზრუნავთ მოსწავლეებში შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზების, მრავალმხრივი უნარების განვითარებისა და თვითრეგულირებადი სწავლის პროცესის დანერგვისათვის. ამბობენ, „სკოლა ცოცხალი ორგანიზაციაა და ყოველდღიურად უფრო და უფრო საინტერესოა იქ ყოფნა“. მის სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოება, რომლის საქმიანობაც შეგნებულად წარიმართება საერთო მიზნის ან მიზნების მისაღწევად. სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოსწავლეა. თითოეულ მოსწავლეს აქვს სრული უფლება, მიიღოს ხარისხიანი განათლება და მისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხო, თანამშრომლობითი, მხარდამჭერი გარემო. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე სწავლა/სწავლების პროცესში ერთვებოდეს ბუნებრივად, აქტიურად და მასწავლებელი მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდეს თავისუფალი აზროვნებისაკენ მიმავალ გზაზე. დღევანდელი სკოლის მასწავლებელი „ქრონიკულად“ უნდა მიისწრაფოდეს ახალ-ახალი იდეების განხორციელებისაკენ; სიახლეების დანერგვითა და მრავალფეროვანი, საინტერესო გაკვეთილებით ხელს უნდა უწყობდეს თითოეული მოსწავლის წინსვლასა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მასწავლებელს სხვებთან თანამშრომლობის გარეშე, მარტოს, გაუძნელდება სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნება, სიახლეების გაცნობა და პრაქტიკაში დანერგვა, პროცესზე დაკვირვება, შედეგების ანალიზი და

საჭირო ცვლილებების განხორციელება.

სსიპ – თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის 2023-2030 წ.წ. სტრატეგიული განვითარების 7-წლიან გეგმაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განსაზღვრულია **არაფორმალური, სამეწარმეო და პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა.** სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე, სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებულმა სკოლის საჭიროებების კვლევის შედეგებმა გამოავლინა აღნიშნული მიმართულებით სკოლის გაძლიერების აუცილებლობა, კერძოდ, ყველამ დავინახეთ, რომ დღეს მხოლოდ ფორმალური განათლების პროცესი არასაკმარისია საუკეთესო შედეგების მისაღწევად, თანამედროვე გამოწვევებზე საპასუხოდ. როგორც სკოლის ლიდერს, კარგად მაქვს გაანალიზებული, რომ ზრდასრულთა განათლების პრინციპების გაძლიერებამ, სკოლაში უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშემწყობმა გარემომ, პრობლემებისადმი ღია და დაუფარავმა მიდგომამ, მაღალი თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებამ უნდა გააძლიეროს თითოეული მასწავლებელი, მისი კომპეტენცია, მოტივაცია და სასკოლო ცხოვრებაში თანამონაწილეობის ხარისხი. დღეს ჩვენი სკოლა ჩართულია რამდენიმე საერთაშორისო პროექტში და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა გაიუმჯობესონ პრაქტიკა, გაეცნონ სიახლეებს და ინოვაციურ მეთოდებს, დანერგონ საკლასო სივრცეში ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. აღნიშნულ პროექტებში მონაწილეობა მასწავლებლებს ბუნებრივად მიმართავს არაფორმალური განათლების ხელშემწყობი აქტივობების განხორციელებისაკენ. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ ითვლება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა და ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, შიდა სამუშაო ჯგუფებში ჩვენ წინაშე არსებულ პრობლემებზე მსჯელობა, გადაჭრის გზების ძიება და იმ მეთოდოლოგიის შერჩევა, რომელიც გამოწვევებში შესაძლებლობებს აღმოგვაჩენინებს. ასეთმა მიდგომამ გარკვეული სტერეოტიპული დამოკიდებულებების მსხვრევას შეუწყო ხელი და სამასწავლებლოში ერთმანეთზე ზრუნვისა და მხარდაჭერის განწყობა შეგვმატა. უწყვეტმა პროცესმა რამდენიმე მიმართულებით გამოკვეთა ლიდერი მასწავლებლები და მათი პრაქტიკა, შექმნა ჯანსაღი კონკურენციის გარემო. სკოლის ბაზაზე საუკეთესო შედეგების დემონსტრირებით ერთმანეთის კომპეტენციების ზრდასა და გამოცდილების გაზიარებასაც შე-

სამუშაო შეხვედრებს; თითოეულ შეხვედრაზე ერთმანეთისაგან დეტალურად ვისმენთ ინფორმაციას განსახილველი საკითხების შესახებ. მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად ვთვლი წლების წინ წინასაგაკვეთილო შეხვედრების კულტურის დამკვიდრებას სკოლაში და ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილების ჩატარება/განხილვის პრაქტიკას. შედეგების გაანალიზების ეტაპზე მასწავლებელთა თანამშრომლობა ხელს უწყობს უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებას.

ვუწყვეთ ხელი. მერწმუნეთ, ყველა სკოლის ლიდერს სურს, რომ სასწავლო პროცესში ინერგებოდეს სიახლეები და მოსწავლეები ინოვაციური მიდგომებით იძენდნენ 21-ე საუკუნის კომპეტენციებს, ივითარებდნენ მრავალმხრივ უნარებს და უყალიბდებოდეთ ფასეული ღირებულებები. თუმცა, ვთვლი, რომ გაკვეთილის პროცესში სიახლეების დანერგვამდე, მნიშვნელოვანია, გაზიარდეს მასწავლებლის სურვილი თუ იდეა – რა, სად, როგორ, რა მიზნით, რა მოლოდინებითა და საშუალებებით უნდა შეიცვალოს ან გაუმჯობესდეს მის მუშაობაში. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ ყოველთვის მეტი მხარდაჭერა გამოხატოს და ხელი შეუწყოს მასწავლებელს, რათა ცვლილებების წამოწყებისას მან მარტო არ იგრძნოს თავი. ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან, სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან, კლასების დამრიგებლებთან, მოსწავლეთა მშობლებთან ერთად ვგეგმავთ ბოლო 2 წელია განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ არაფორმალური განათლების განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენებას, რათა გავაძლიეროთ და გავზარდოთ ფორმალური განათლების ფარგლებში მისაღწევი შედეგები.

არაფორმალური განათლების გაძლიერების ხელშემწყობი ფაქტორი, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ინტერესებია, რაც ვლინდება ხოლმე ფორმალური განათლების პროცესშიც. შესაბამისად, სკოლის მიზანია, მასწავლებლისა თუ მოსწავლის შრომა მიმართოს განვითარების, სოციალური ჩართულობის, ცხოვრების მდგრადი წესის, მშვიდობიან საზოგადოებაში წარმატებული არსებობის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და აქტიური მოქალაქეობისაკენ. ისეთი საკვანძო უნარების განვითარება, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრა, გუნდური მუშაობა, ეფექტური კომუნიკაცია, მოლაპარაკების უნარი, ანალიტიკური აზროვნება, შემოქმედებითობა და ა.შ., ვითარდება იმ პროცესებში, რომლებსაც ითვალისწინებს სკოლაში სხვადასხვა სახით არაფორმალური აქტივობების განხორციელება. ამ ეტაპზე, სსიპ-თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლაში მოქმედებს შემდეგი კლუბები:

- ტექნოლოგიების კლუბი
- სამეწარმეო კლუბი
- სამოქალაქო განათლების კლუბი
- მკითხველთა კლუბი

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კლუბი
- ეკო კლუბი
- შემოქმედ მოსწავლეთა კლუბი
- შემოქმედ მშობელთა კლუბი
- კურსდამთავრებულთა კლუბი

აღნიშნულ კლუბებში მოსწავლეებისა და მათი მშობლების გაერთიანება, საინტერესო იდეების ირგვლივ მსჯელობა, დაგეგმვის/განხორციელების/შედეგების გაზიარების ეტაპები მნიშვნელოვნად ცვლის ფორმალურ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს. მათი მოტივაცია და ინტერესი სწორედ აქტიური მონაწილეობით განისაზღვრება და სწავლის შედეგების ზრდასთან ერთად იზრდება თვითრეგულირებადი სწავლის ხარისხიც, რაც მეტად მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნის ადამიანისათვის. თითოეული კლუბის მუშაობაზე წარმოდგენა რომ შეგიქმნათ, მათ მიერ განხორციელებული აქტივობების მცირე ჩამონათვალს გთავაზობთ. ამით აღვნიშნავ იმ ფაქტსაც, რომ სკოლაში არაფორმალური განათლების განვითარების ხელშემწყობი გარემო თავისთავად აძლიერებს ფორმალური განათლების პროცესში მიღწეულ შედეგებს და დადებითად აისახება სასკოლო ცხოვრებაზე.

2023 წლის 6, 7 და 8 ოქტომბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა ყველაზე ფართომასშტაბიან საერთაშორისო ჰაკათონს – NASA Space Apps Challenge 2023.

NASA Space Apps 48 საათზე მეტ-ხანს მიმდინარეობდა 225-ზე მეტ სხვადასხვა ადგილზე და აერთიანებდა კოდერებს, მკვლევრებს, დიზაინერებს, მშენებლებს, ტექნოლოგებსა და შემოქმედებით ადამიანებს სხვადასხვა გამოწვევასთან გასამკლავებლად. აღნიშნული ჰაკათონის ფარგლებში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაბლაბის ბაზაზე გაიმართა ჰაკათონის რეგიონული ტური, რომელშიც მონაწილეობდა საჯარო სკოლებისა და უნივერსიტეტებისგან დაკომპლექტებულმა 9 გუნდი. გუნდებმა მოისმინეს სასურველი სესიები და მიიღეს მენტორების რჩევები, მოამზადეს და წარმოადგინეს ძალიან საინტერესო და კრეატიული იდეები. საბოლოოდ ჟიურიმ გამოავლინა 2 გამარჯვებული გუნდი, რომელთა შორის პირველ ადგილზე დასახელდა ჩვენი სკოლის გუნდი „Above the earth – საგანმანათლებლო-შემეცნებითი აპლიკაცია მარსის შესახებ“. გუნდი გამოცხადდა რეგიონული შეჯიბრის გამარჯვებულად და გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას საერთაშორისო დონეზე, შედეგები დეკემბერში გახდება ცნობილი. ჰაკათონი ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა (GITA • Tech Park) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია FABLAB ATSU-ს მხარდაჭერით. ტექნოლოგიების კლუბის წევრთა აღნიშნულმა მიღწევებმა გაზარდა მოსწავლეთა ინტერესი პროგრამირების მიმართულებით.

ჩვენს სკოლაში ფუნქციონირებს სამეწარმეო კლუბი „კრეატივი“, რომელმაც დააარსა მოსწავლეთა სამკერვალო კომპანია. კომპანია კერავს წინსაფრებს და რთავს სოფელში მოძიებული ბებოს ტრადიციული რეცეპტებით. რეცეპტების მოძიების პროცესში ჩაერთვნენ მოსწავლეთა თვითმმართველობა და სამოქალაქო კლუბის წევრები. კომპანიამ გასულ წელს მოიპოვა „გაყიდვების უფლება“, მონაწილეობდა კონკურსში და დასახელდა 36 საუკეთესო კომპანიას შორის. გასული სასწავლო წლის ბოლოს კლუბმა „მოსწავლეთა სამეწარმეო ფესტივალზე“ გაიტანა საკუთარი პროდუქცია. დღეს მოსწავლეთა სამკერვალო კომპანია გეგმავს წარმოების გამრავლფეროვნებას და წინსაფრებთან ერთად შეკერავს ხელჩანთებს, რომლებზეც დატანილი იქნება ქართველ და უცხოელ ხელოვანთა შემოქმედების ამსახველი მნიშვნელოვანი მასალები. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ცნობიერების ამაღლებას, საბაზრო ეკონომიკის საკითხებში გარკვევას, ბიზნეს უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარებას, საკვანძო კომპეტენციების გაძლიერებას. პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე ჩართული მოსწავლეები მიმდინარე სასწავლო წელს

სკოლის თვითმმართველობის წევრებად აირჩიეს და თვითმმართველობის თავმჯდომარეც სწორედ აღნიშნული კლუბის ერთ-ერთი ლიდერია. ამით აღვნიშნავ იმ ბუნებრივ პროცესებს, რომლებიც სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების გზაზე თანამონაწილეობით ვლინდება და, პასუხისმგებლობების გაძლიერებით, არსებულს უკეთესობისაკენ ცვლის. როგორც აღვნიშნე, ჩვენი სკოლის 2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მოსწავლეებში სამეწარმეო საქმიანობისა და პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა. ამ მიმართულებით დავგეგმეთ სკოლის შიდა კადრების შესაძლებლობების გაძლიერება და მათთვის შესაბამისი განათლების მიღების ხელშეწყობა, რათა ეს აისახოს მოსწავლეებზეც. ჩვენი სკოლის სამეწარმეო კლუბის ხელმძღვანელი, მოსწავლეთა სამკერვალო კომპანია „კრეატივის“ კურატორი, სკოლის სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის მასწავლებელი უმაღლესი შეფასებით ჩაირიცხა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის პროფესიული განათლების პროგრამაზე – „მხატვრული ქსოვილები“. ამავე პროგრამაზე ისწავლის ჩვენი სკოლის მე-8 კლასის ერთ-ერთი მოსწავლის მშობელიც. უამრავი საინტერესო იდეა გვაქვს, რომელსაც ჩვენი მოსწავლეების, მათი მშობლებისა და მასწავლებლების ჩართულობით ქმედებად და პროდუქტად ვაქცევთ და ხელს შევუწყობთ მოსწავლეებს უკეთესი მომავლის დაგეგმვაში.

2022-2023 სასწავლო წელს განხორციელდა **მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სამოქალაქო კლუბის ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის კვალდაკვალ“**. სოფელ გეგუთში მდებარე ფეოდალური ხანის ისტორიული ძეგლის „გეგუთის ციხე-დარბაზი“ მიმდებარე ტერიტორია კეთილმოწყობილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და მასპინძლობს ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს. ამ დროსათვის გიდის მომსახურების სერვისი იქ არ არის. განხორციელებული პროექტის ფარგლებში ჩვენი სკოლის მოსწავლეები 3 ენაზე (ქართული, ინგლისური, გერმანული) გადამზადდნენ გიდებად და შეუძლიათ ქარ-

თულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გეგუთის ციხე-დარბაზის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ტურისტებისათვის. პროექტის განხორციელების პროცესში, გარდა იმისა, რომ მოსწავლეებს გიდის პროფესიის შესახებ მეტი ინფორმაცია მივაწოდეთ, ხელი შევუწყვეთ მათი ცნობიერების ამაღლებას, თვალსაწიერის გაფართოებას, კვლევა-ძიების, თანამშრომლობის, კომუნიკაციის, შემოქმედებითი და პასუხისმგებლობის უნარების გამოვლენა-განვითარებას. მოსწავლეები დაეუფლნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, განუვითარდათ პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, რაც სხვადასხვა საგნის გაკვეთილებზე მათი აქტიური და შედეგიანი ჩართულობით გამოიხატა. ამ პროცესმა გაზარდა მოსწავლეებში სამოქალაქო კომპეტენცია და მათში მიკუთვნებულობის, მზრუნველობის განცდა გააძლიერა. პროექტის მდგრადობის მიზნით, სკოლა გეგმავს მიმართოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, რათა გაფორმდეს თანამშრომლობის მემორანდუმი და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სასკოლო ასაკიდანვე შეეძლოთ გიდის პროფესიის დაუფლება, რაც სამომავლოდ დაეხმარება მათ პროფესიის შერჩევასა და დროულად დასაქმებაში.

სამოქალაქო კლუბისა და კლუბის კურატორი მასწავლებლის მიერ, ასევე, თვითმმართველობის აქტიური მონაწილეობით, **„USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის“** ფარგლებში, რომლის პარტნიორი იმერეთში არის სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“, განხორციელდა აქტივობა /პერფორმანსი/ **„მეცნიერ ქალთა საერთაშორისო დღე“**. აქტივობის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეებში კვლევის უნარ-ჩვევების განვითარება, ცნობიერების ამაღლება, გენდერული სტერეოტიპების გავლენის შემცირება და ქალთა უფლებების გაძლიერების ხელშეწყობა. მოსწავლეებმა დაგეგმეს იმიტირებული შეხვედრა-კონფერენცია და როლური თამაშით მეცნიერ ქალებად წარსდგნენ აუდიტირიის წინაშე; თამამად ისაუბრეს, რა ხელისშემშლელი ფაქტორები განაპირობებდა მათი მიღწევებისა თუ აღმოჩენების გასაჯაროებას და როგორ იბრძოლეს თავიანთი უფლებების დასაცავად. პროექტის ფინალურ აქტივობას აუდიტირიის მხრიდან დიდი დაინტერესება და შეფასებები მოჰყვა. სხვა, პროექტის

არამონაწილე მოსწავლეებმა მოიძიეს მსოფლიოს მეცნიერი ქალების შესახებ ინფორმაცია, ფოტომასალა, დაახარისხეს რესურსი და აკინძეს წიგნად; აღნიშნეს, რომ მათ ღვაწლსა და სარგებელს უნდა იცნობდეს ყველა თაობა და მსგავსი წიგნი გაუადვილებს მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიებას/გაცნობას მეცნიერ ქალებზე. ამ თემით დაინტერესებული მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია ადამიანთა უფლებების დაცვის, განათლების ხელმისაწვდომობის, მშვიდობის მშენებლობის, ადრეული ქორწინების, დანაშაულის პრევენციისა და სხვა საკითხებზე. აღნიშნულ აქტივობებში ჩართულ მოსწავლეებს უადვილდებათ სხვადასხვა საგნის გაკვეთილებზე დისკუსიებში ჩართვა, კრიტიკული აზრის ჩამოყალიბება, მსჯელობა, სხვათა აზრის პატივისცემა, სწორი აქცენტების დასმა და საკითხის შორეული პერსპექტივიდან განხილვა.

სსიპ – თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლა 2023 წელს თამაზ ბექაიას სახელობის ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული გახდა და 8000 ლარი მიიღო გრანტის სახით. დაფინანსების ფარგლებში, სკოლის ეზოში განთავსდა **საველე კვლევითი ლაბორატორია**, სადაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კლუბის წევრი მოსწავლეები და კლუბის ხელმძღვანელი ატარებენ კვლევებს, აკვირდებიან მცენარეთა დარგვა-დაფესვიანება-ზრდა-განვითარების პროცესს და ამრავლებენ ყვავილებს. **საველე კვლევითი ლაბორატორია** ხელს უწყობს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული მისაღწევი შედეგების – კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაში. სკოლაში შექმნილია დამატებითი სივრცე პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად, რაც ხელს უწყობს მრავალფეროვან მუშაობას. მიმდინარე სასწავლო წელს აღნიშნულ ლაბორატორიას დამატებითი ფუნქცია შევძინეთ – მოვხატეთ იატაკი, განვათავსეთ მოლბერტები და გარკვეული არტ-სივრცეც გამოვყავით შემოქმედი მოსწავლეებისთვის.

სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბის წევრებით დაკომპლექტებული **„ცოცხალი ბიბლიოთეკა“**, რომლის მთავარი ფუნქციაა, კლუბის მუშაობის

პროცესში წაკითხული წიგნების ფოტოების მაისურებზე განთავსება და ცოცხალ სასკოლო მარათონში სასკოლო საზოგადოების ჩართვა. მუშაობის პროცესში მოსწავლეები იძენენ გუნდური მუშაობის, ერთმანეთთან თანამშრომლობის, იდეის დაგეგმვა-განხორციელების უნარებს, იმავდროულად, მოსწავლეებში იზრდება წიგნიერების კომპეტენცია და კითხვის კულტურა. ტარდება სახალისო, საინტერესო და შთამბეჭდავი კვირეული, რომელიც მთელი სკოლის აქტიურობასა და ინტერესს იწვევს. მკითხველთა კლუბის წევრები ცდილობენ თითოეული წაკითხული წიგნის მიხედვით აწარმოონ დღიურები და ისინიც „ცოცხალი ბიბლიოთეკის“ ნაწილად აქციონ. დამეთანხმებით, ასეთი მიდგომა ბუნებრივად აახლოებს მოსწავლეებს მხატვრულ ლიტერატურასთან და ხელს უწყობს ფორმალური განათლების პროცესში მათი ცოდნისა და მაღალი სააზროვნო უნარების გამოვლენას. „მკითხველთა კლუბის“ წევრების ინიციატივით, ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის ერთი სივრცე დაეთმო შემოქმედ მოსწავლეთა მიერ შექმნილ ხელნაწერ წიგნებს. მოსწავლეები თავად წერენ მოთხრობებსა თუ ზღაპრებს და ამ ფორმით უზიარებენ თანატოლებს. მრავალმხრივია ასეთი აქტივობის შედეგი. გარდა იმისა, რომ ბავშვები შემოქმედებით უნარებს ივითარებენ და წიგნის აწყობის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ეზიარებიან, სწავლობენ საბიბლიოთეკო საქმესაც და არავინ იცის, რამდენ მოსწავლეში აღძრავს ეს პროცესი ინტერესს ბიბლიოთეკარის პროფესიის მიმართ.

ჩვენს სკოლაში 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში, დაწყებით და საბაზო საფეხურზე, სადამრიგებლო პროგრამებში გავითვალისწინეთ და განვახორციელეთ ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი – **„21 კრეატიული დღე“**. მოსწავლეებმა 21 შემოქმედებითი საკითხის გავლის შემდეგ, ინტელექტუალურ საკუთრების სრული დაცვით, შექმნეს 21 კრეატიული რესურსი. შექმნილი რესურსები გამოფინეს სკოლის სივრცეში და წარმოადგინეს პრეზენტაცია. სკოლამ მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსები პროექტის შემაჯამებელ კონფერენციაზე გამოფინა. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო მოსწავლეებს, დაფიქრებულიყვნენ ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობაზე და მეტად მოფრთხილებოდნენ სხვისი და თავიანთი საკუთრების უფლების დაცვას.

დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში ხორციელდება გრძელვადიანი **პროექტი „მშობელთა დღე“**, რომელიც ითვალისწინებს სადამრიგებლო საათების მშობელთა მონაწილეობით

ჩატარებას, დაგეგმვის ეტაპიდან განხორციელება-შეფასების ჩათვლით, ყველა ეტაპზე, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, სხვადასხვა მშობელი დამრიგებელთან ერთად ერთვება კლასის საათის მიმდინარეობის პროცესში. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა „თოჯინების თეატრი“. მშობლები ყველა რესურსს თავად ამზადებენ და წლის განმავლობაში 2-ჯერ სასკოლო საზოგადოებას წარუდგენენ სხვადასხვა სპექტაკლს. **სკოლამ გასულ წელს საფუძველი ჩაუყარა მშობელთა ფესტივალს**, რომელიც ჩატარდა 1-ელ ივნისს. ფესტივალის ფარგლებში, სკოლის ეზოში გამოიფინა შემოქმედ მშობელთა ნამუშევრები და საზეიმო კონცერტის რეპერტუარი მხოლოდ მოსწავლეთა მშობლების მონაწილეობით შედგა. ეს იყო საუკეთესო დღე სკოლის ისტორიაში, რომელიც გაგრძელდება და დამკვიდრდება, როგორც სასკოლო კულტურის ნაწილი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობა არის ბუნებრივი პროცესი, რომ მშობელი დაუახლოვდეს სკოლას და, საკუთარი შესაძლებლობებით, თანამონაწილე გახდეს სასკოლო ცხოვრებისა.

ჩვენს სკოლაში ფუნქციონირებს „კურსდამთავრებულთა კლუბი“, რომლის წევრების ინიციატივით, გასულ სასწავლო წელს განხორციელდა **პროექტი „ერთი წიგნი ახალ ბიბლიოთეკას“**. პროექტი ითვალისწინებდა სკოლის კურსდამთავრებულთა მიერ ბიბლიოთეკისათვის სამახსოვრო წარწერით ერთი წიგნის ჩუქებას. პროექტის ფარგლებში, სკოლას საჩუქრად გადმოეცა 500-მდე წიგნი. გარდა იმისა, რომ თანამედროვე მხატვრული ლიტერატურით გამდიდრდა სკოლის ბიბლიოთეკა, სარგებლის სახით ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი მივიღეთ – სკოლამ მეტად დაიახლოვა კურსდამთავრებულები, რომლებიც ახლა სხვადასხვა ინიციატივით ცდილობენ სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას. მოსწავლეებისათვის სკოლის კურსდამთავრებულები

არიან ცოცხალი მაგალითები იმისა, თუ როგორ უნდა ჰქონდეთ მათ სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა, ზრუნვისა და პატრონობის ნებაყოფლობითი ვალდებულება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროექტებისა, სკოლისთვის მეტად ძვირფასია ისეთი დღეები, როდესაც მოსწავლეებს აქვთ უპირატესობა, თავად დაგეგმონ საინტერესო აქტივობები. ასეთ გამორჩეულ დღეთა შორისაა: „თვითმმართველობის დღე“, როცა მასწავლებლებს ცვლიან მოსწავლეები; „ერთი დღე ჩანთის გარეშე“, როცა სასკოლო ჩანთის გარდა, ნებისმიერი საგნით შეუძლიათ სასკოლო ნივთების მოტანა; თამარობის დღესასწაული, როცა თეატრალური წარმოდგენებით აცოცხლებენ გეგუთში მდებარე ისტორიულ ციხე-დარბაზს.

სკოლის მრავალფეროვანი მუშაობის პროცესის ხელშემწყობი თავად ჩვენი სასკოლო საზოგადოებაა; ასევე, განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ამ საქმეში ჩვენს ამჟამინდელ პარტნიორებს, რომლებსაც მადლობას ვუხდით ჩვენს სკოლასთან თანამშრომლობისათვის. სამომავლო გეგმების განხორციელების სურვილით, ახალი იდეებითა და მიზნებით ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ თანამშრომლობას.

მადლობა მათ:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- „USAID სამოქალაქო განათლების პროგრამა“
- სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
- განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი; PH International
- USAID დაწყებითი განათლების პროგრამა
- თამაზ ბექაიას სახელობის ფონდი
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
- ნაზარიშვილის სახელობის მუზეუმ-ნაკრძალი
- ადგილობრივი თვითმმართველობა

რა თქმა უნდა, ზემოხსენებული აქტივობების, პროექტებისა თუ პარტნიორების ჩამონათვალი არასრულია, თუმცა საკმარისია იმისათვის, რომ შეიქმნას წარმოდგენა, თუ როგორ ხედავს სკოლა სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების – **„არაფორმალური, სამეწარმეო და პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის“** შვიდწლიანი პერსპექტივის ფარგლებში, არაფორმალური განათლების დახმარებით, ფორმალური განათლების პროცესის გაძლიერებას, რათა ის შედეგიანი გახდეს თითოეული მოსწავლისთვის და გააძლიეროს საკვანძო კომპეტენციების განვითარების მხარდამჭერი სასკოლო კულტურა.


Key competences
Science, technology, engineering, mathematical
Multilingual
Literacy
Cultural awareness and expression
Entrepreneurship
Citizenship
Personal, social and learning
Digital



www.tpdc.ge